

დღე

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 მარტი საშაბათი 2011
№ 072 (13369) ფასი 60 თეთრი



ლევან
ჯანაშვილი
თელ ავივიდან
სპეციალურად
ლელოსთვის


ახალი ადეჟა თბილისური 1:0, რუმელვას შეხვალა აზრი საქართველოზე



ქეცხაია მოსე არ არის, მებრემ

ნელინაია, ნაუბლად
ატარებს ქართულებს,
გამოგვარიდა ჩვენი
ფხვურთის გოდების კედელს

და ჰა, მოვადრით ადთქმულ მიწაზე: მოგებებაზე ვფიქრობთ




დღეს პირველ არხზე.
ვიღელვით 21 საათიდან

ახლო ხედი

ისრაელი




ამდენიმე დღის წინ "ლელოს" ახალი რუბრიკის პრემიერა შემოგთავაზებთ და გელო...



ტაქტიკა

ებრაელთა ფრანგი თავიკი ლუის ფერნანდესი უპირატესობას უმეტესად...



ლუის ფერნანდესი


ვიწინით, რომლებსაც ფრანგი შაბათს ლატვიასთან მოგვეხვდნენ და...

ესპანურ პრიმერადივიზიონში ჭიპ-მოჭრილი მეკარე დეუსე ავატე ისრაელის...

საქართველოსთან კარში უთუოდ ავატე დადგება; დაცვის ცენტრში ბენ...

მთავარი პარსკვლავი

ებრაელთა მთავარი და, კაცმა რომ თქვას, ერთდერთი ვარსკვლავია...



ნარე შესარჩევში მხოლოდ ორი მატჩის ჩატარება მოასწრო. ბენაიუნმა თბილის...

შესუსტებული, ამიტომ, ალბათ, ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რათა მან...

შედეგა და კონტრშედეგა

ისრაელი კარგად უტევს როგორც ცენტრდან, ასევე ფლანგებიდან. განსაკუთრებით კარგად გამოისდის სწრაფი...

სანაია ფიქრობს, რომ, სისწრაფისა და ტექნიკის მიუხედავად, ებრაელი შემტევები განსაკუთრებული ფანტაზიით არ...

რა უნდა დავუპირისპირდეთ

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ისრაელი საქართველოს წინააღმდეგ უთუოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს და, ნესით, მეტოქის ამგვარი...

ლევან ჯანაშვილი

Table with 3 columns: Player Name, Goals, Assists. Lists players like Deuse Avate, Lior Rafailovich, etc.

შენიშვნა: მ-მატჩი, ძირ - ძირითადში, გ - გოლი

Table with match results: 2.09.2010, 7.09.2010, 9.10.2010, 26.03.2011

საქართველოს ნაკრები



ლამა სალუქვაძე (№2)

ინტერპრესნიუსის ფოტო

სამართლიანობის პრინციპი

სამართლიანობის პრინციპის მატჩის მერე გამართულ პრესკონფერენციაზე ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს თემურ ქეცბაიას ემოციების დამალვა არც უცდია; თუმცა, განსაკუთრებულად ერთი ფრაზა გვენიშნა: თითოეულმა ფეხბურთელმა ამ შედეგის მისაღწევად...

ალარაფერს ვამბობთ იმ მართლაც სარეკორდო მაჩვენებლებზე, უკვე წელიწადზე მეტია რომ გრძელდება: 10 ნაუგებელი მატჩი არც არასდროს გვქონია!

მეტყველი ციფრები

ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა 5 მატჩი ჩაატარა: 2 მოგება, 3 ფრე და არც ერთი წაგება! ასეთი შედეგი კი ჩვენი უპირველესი გუნდს თავისი არსებობის ისტორიაში არასდროს ჰქონია; ისე როგორც 9 ქულა არ გვქონდა არასდროს 5 მატჩის მერე და არც 2 ბურთი გვქონია გაშვებული ამ რაოდენობის შეხვედრებში!



2010 წლის 7 სექტემბერი. საქართველო-ისრაელი 0:0

Bet Guru advertisement with logo and website address: http://bet.goli.ge

მოსალოდნელი ტრანსფერი

თბილისიდან პირდაპირ ღორბუნდში?

პირდაპირ ივან პერიშიჩის ყიდვა უნდა



ივან პერიშიჩი შეიძლება ღორბუნდში გადავიდეს

ღორბუნდის „ბორუსიას“ გერმანიის ჩემპიონობა ჯერ არ გაუწივდა...

მა ის მოედანზე 61-ე წუთზე, ივან რაკიტჩის ნაცვლად შეუშვა.

კლოპს მისი ყიდვა იმიტომ უნდა, რომ პერიშიჩი 22 წლის კვირგროსკრიტცის იდეალურ ალტერნატივად მიაჩნია.

კოტეჯი ლენტი

ბაიერი

კლოპა იუპის გადასახლება!

როზანი, რიზარი, მიულერი, კლოპა და გომეზი ერთად ძირითადი?

„ის ძალიან კარგი მწვრთნელია. განსაკუთრებით კარგად ფეხბურთელების მოტივირება ეხერხება...“

დებს ხშირად ორი თავდამსხმელი ათამაშებს და შესაძლოა, სწორედ ეს იყოს კლოპის შანსი.

კოტეჯი ლენტი



მიროსლავ კლოპის ბაიერნთან კონტრაქტი უმთავრდება

საქმე ის არის, რომ მიროს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი ივენისში უმთავრდება და მისი საკითხი დღემდე გაურკვეველია.

ტელეკომპანია ZDF-ის ექსპერტმა ოლივერ კანმა ჰაინკეს კლოპის საკითხის გადაწყვეტილებას მოუწოდა: „თუ იუპს მიროს შენარჩუნება სურს, ახლავე უნდა უთხრას.“

საინტერესოა, რამდენად აქვს ჰაინკეს იმის უფლება, რომ „ლევერკუზენის“ მწვრთნელის რანგში მყოფმა, „ბაიერნზე“ ზრუნვა დაიწყოს?

„მე ამ ყველაფერს პრაგმატულად ვუყურებ. სანამ იუპი „ლევერკუზენის“ მწვრთნელია, მხოლოდ ამ გუნდისთვის უნდა იმუშაოს.“

ჰაინკეს ნათქვამი აქვს, 1-ელ ივლისამდე „ბაიერნზე“ არ ვილაპარაკებ, მაგრამ ფაქტია, რომ საკადრო გადაწყვეტილებები სწორედ მან უნდა მიიღოს.

ინტერვიუ. ტომას დი ხენადატო

ინტერვიუ



მსოფლიოში უკლიარისის სახალისო

„რომას“ რომ ახალი მესაკუთრე ამ დღეებში გამოჩნდება, ეს აშკარად იურიდიულად ჯერ არ გადამწყვეტილია, თუმცა რომ მოხდება, ეჭვი არავის ეპარება.

წევნით იცნობენ. მოვა დრო და ჩვენ ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან ერთად განვიხილავთ ყველაფერს და გადაწყვეტილებებს ისე მივიღებთ.

„სტადიო ოლიმპიკოზე“ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? თქვენ ხომ „რომა“-„ინტერის“ მატჩს დაესწარით...

დაიხ, ის მატჩი ვუწინიხის სუპერგოლით მოვიგეთ. იმ საღამოს ყველაზე მეტად რომელი ტიფოზების საქციელმა გამაკვირვა, რადგან ამერიკაში არაფერი ამის მსგავსი არ მინახავს.

„რომას“ ისტორიას მეტ-ნაკლებად მაინც თუ იცნობთ?

ამ კლუბს დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. მართალია, მუდმივად გამარჯვებულთა შორის არ ვტრიფალბდით, მაგრამ მაინც, თბილად მასხენდება ბოლო სუდეტო და ვასული საუკუნის 80-იანი წლების კონტისა და ფალკოს დიდი გუნდი.

ალბათ იცით, რომ იტალიურ ფეხბურთის ამაჟამად საუკეთესო დროება არ უდგას.

დაიხ, ვიცი. სამარცხვინო და შემაშფოთებელია, რომ იტალიამ ჩემპიონთა ლიგაში მე-4 ადგილი გერმანიას დაუთმო. მიმანია, რომ მთავარი საკლუბო პრობლემა ნორმალური სტადიონების არქონაა.

სხვა გამოსავალს ამ გზაზე ვერ ხედავთ?

უპირველესად რაც გვჭირდება, ეს არის ახალი ტექნოლოგიები და მისი ბოლომდე ათვისება.

ნება მოგვცით, ინტერვიუს ბოლოს საკუთარ თავს პროვიციალიზმის უფლება მივცეთ და გკითხვათ, რას ფიქრობთ „ლაციოზე“?

მე თქვენ მოგიყვებით ჩემი ცხოვრების ერთ თავგადასავალს. ვასულ წელს „კამპუსის კოლეჯის“ ოუბლეს ვეზიმობდით, იმ კოლეჯისას, რომელიც მე დავამთავრე და შემოთ რომ გიამბოვო, საუბრო საღამოზე გულზე დაბნეული მქონდა ყვეთელ-ნითელი ვარდი. იქ შეგვხვდა „კამპუსის“ ყოფილ სტუდენტებს, რომლებიც ასევე „რომას“ ფანები აღმოჩნდნენ.

ლევან ბიბილაშვილი

ლიბეა ქარკეზია, მამრამ რამდენად?

მსოფლიოს ჩემპიონი ვილნიუსში, ვიცე-ჩემპიონი სახლში...

ჩემპიონის ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ისრაელია, მაგრამ არც სხვა შეხვედრები უნდა დავივიწყოთ, თუმცა დღევანდელი მატჩებიდან არც ერთი არ არის განსაკუთრებით საინტერესო. თურქეთი ვალდებულია, ავსტრია დაამარცხოს; ბელგიას აზერბაიჯანის სახით, ერთი შეხვედრით, საკმაოდ მარტივი საშინაო დავალება აქვს; სერბები ესტონეთშიც წარმატების მიღწევაზე ფიქრობენ, ოლონდ ამის გაკეთება წამყვანი ფეხბურთელების გარეშე მოუწევთ; რუმინეთს ლუქსემბურგთან არ უნდა გაუჭირდეს, შედეგის მოლოდინთან, ჰოლანდიას კი უნგრეთთან. ესპანეთის ნაკრები ვილნიუსში, ლიტვას ეთამაშება...

თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გულს შილინი



ავსტრიის ნაკრები თურქეთთან მატჩისთვის ემზადება

პინდლობს და რაკი მეტოქეზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, საკმაოდ კომფორტულ მდგომარეობაშია. გამარჯვების შემთხვევაში, მასპინძლებს მეორე ადგილზე გადასვლის შანსი გაუჩნდება. შესაბამისად, სლოვენელებისთვის ამ თამაშის წაგება არაფრის დიდებით არ შეიძლება.

თ	მ	შ	ნ	გ	ქ	
1. იტალია	5	4	1	0	11-1	13
2. სლოვენია	5	2	1	2	7-4	7
3. სერბეთი	5	2	1	2	7-8	7
4. ესტონეთი	4	2	0	2	6-5	6
5. ჩრ. ირლანდია	4	1	2	1	3-3	5
6. ფარერები	5	0	1	4	3-16	1

მ ა ჯ უ ზ ი

რუმინეთი-ლუქსემბურგი

ბოსნიამ განცდილი მარცხის (1:2) შემდეგ, რუმინეთის ნაკრებს დღეს ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის გაბრძოლების ფაქტობრივად უკანასკნელი შანსი აქვს. რუმინელები ჯგუფის აუტსაიდერ ლუქსემბურგს მასპინძლობენ და ფავორიტადაც მიიჩნევიან. სხვა საქმეა ის, რომ რუმინეთს ამ შეხვედრის მოგება მდგომარეობას (2 ქულა 4 თამაშის შემდეგ) მხოლოდ ცოტათი გამოუსწორებს.

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გამოსწორების გზაზე დამდგარი საფრანგეთის ნაკრები პირველ ადგილს უპრობლემოდ დაიკავებს, აი, მეორე ადგილისთვის კი ბელარუსი, ალბანეთი და ბოსნია უკვე იბრძვიან. თუ რუმინეთი ლუქსემბურგს დაამარცხებს (სასწაული იქნება, ასე რომ არ მოხდეს), ამ ბრძოლაში რუმინელებიც ჩაბმებიან. ლუქსემბურგის ნაკრები კი, თავიდანვე აუტსაიდერობისთვის იყო განწირული...

თ	მ	შ	ნ	გ	ქ	
1. საფრანგეთი	5	4	0	1	8-1	12
2. ბელარუსი	5	2	2	1	3-1	8
3. ალბანეთი	5	2	1	2	4-4	8
4. ბოსნია	4	2	1	1	6-4	7
5. რუმინეთი	4	0	2	2	2-5	2
6. ლუქსემბურგი	5	0	1	4	0-8	1

ე ა ჯ უ ზ ი

შვედეთი-მოლდოვა

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე შედეგების ნაკრებმა ბოლო მატჩი ოქტომბერში ჰოლანდიასთან გამართა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან 1:4 დამარცხდა. მას მერე სკანდინავიელებს აღარ უთამაშიათ და ჯგუფში ყველაზე ცოტა, სამი შეხვედრა აქვთ ჩატარებული. მოლოდინთან საშინაო მატჩში შედეგისთვის გამარჯვება აუცილებელია - წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატზე გასვლა, შესაძლოა, მართლა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

აოლანდია-უნგრეთი

პარასკევს, ჰოლანდიის ნაკრებმა უნგრეთს ბუდაპეშტში 4:0 მოუგო და „ნარინჯისფერებს“ ხუთი ტურის შემდეგ, 15 ქულის სახით ასპროცენტური შედეგი

აქვთ. რა უნდა მოხდეს, ბერტ ვან მარვიკის გუნდს დღეს უნგრეთის დამარცხება რომ გაუჭირდეს? პარასკევს გამართულ შეხვედრაში როლები ისე მკვეთრად იყო გადახანილებული და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა იმდენად მარტივად შეძლო ბუდაპეშტიდან სამი ქულის წაღება, რომ ფაქტობრივად გამორიცხულია, ჰოლანდიელებს დღეს პრობლემები შეექმნათ. ჰოლანდია მეექვსე გამარჯვებისკენ და ევრო 2012-ის საგზურის ნაადრევად განაღდებისკენ ისწრაფვის. მიუხედავად ამისა, რაც უნდა გასაკვირი იყოს, უნგრელებს ყურები არ ჩამოუყრიათ და პრინციპში, ესეც ლოგიკურია, რადგან ჯერ კიდევ მეორე ადგილზე არიან და შედეგის სამი ქულით უსწრებენ, თუმცა სკანდინავიელებს უნგრელებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

„მართალია, პარასკევს 0:4 წაუგებთ, მაგრამ დამიჯერეთ, ეს მარცხი უკვე დავიწყებთ და თუ ვინმე ფიქრობს, რომ სამშაბათს ჰოლანდიელებს ისევე იოლი გასეირნება ელთი, ძალიან ცდება. ჩვენი გუნდი მაქსიმალურად მოზილინებულა. ევროპის ჩემპიონატზე უნგრეთს 1972 წლის შემდეგ აღარ უთამაშია და ბოლომდე ვიბრძობთ იმისათვის, რომ მოცემული შანსი გამოვიყენოთ,“ - აცხადებს უნგრეთის ნაკრების ვეტერანი მეკარე გაბორ კირალი.

თ	მ	შ	ნ	გ	ქ	
1. აოლანდია	5	5	0	0	16-2	15
2. უნგრეთი	5	3	0	2	12-8	9
3. შვედეთი	3	2	0	1	9-4	6
4. მოლდოვა	4	2	0	2	5-3	6
5. ფინეთი	4	1	0	3	10-6	3
6. სან მარინო	5	0	0	5	0-29	0

ი ა ჯ უ ზ ი

ჩხეთი-ლიხთენშტეინი

ჩხეთის ნაკრები ესპანეთთან დუელი (1:2) მაგრამ კი დალადა, მაგრამ დღეს ჯგუფს ლიხტენშტეინის ხვედრა და წესით, ჯგუფის უიმედო აუტსაიდერთან სამი ქულის მოპოვებას ჩეხებისგან მინიმალური კონცენტრაცია უნდა ყოს. გამარჯვების შემთხვევაში, ჩეხ-

ბი მეორე ადგილზე პოზიციებს გაიმყარებენ და მათი მიზანიც სწორედ ესაა - პირველ ადგილს ესპანეთი ხომ არავის დაუთმობს.

ლიბეა-ესპანეთი

ლიტვის ნაკრები ჯგუფში ოთხი ქულით მეოთხე ადგილზეა და მეორეადგილოსან ჩეხეთს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. შესაბამისად, ლიტველები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშზე ოცნებას აგრძელებენ და მათ სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ჩეხებზე და შოტლანდიელებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული, თუმცა ეს თამაში ლიტვას ახლა ჯგუფის ფავორიტთან, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან უნდეს...

შესაბამისად, ლიტვა შეხვედრის აუტსაიდერია. თუმცა ბალტიისპირელთა ბრძოლისუნარიანობა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიტვის ნაკრებს საკუთარ მოედანზე არაერთხელ გაუმწარებია გრანდები - მერე რა, რომ გამწარებაში მხოლოდ ფრეს ვგულისხმობთ. ისიც ვთქვათ, რომ ვისინტე დელ ბოსკეს გუნდი ცოტათი გადააღწია - ესპანელებმა ჩეხეთთან მატჩში (2:1, დავიდ ვილას დუბლი) დიდი ძალეობა დახარჯეს, თუმცა წესით, ლიტვასთან გადააღწილმა ესპანეთმა უპრობლემოდ უნდა მოიგოს. ამისათვის, დელ ბოსკეს გუნდს სრული კონცენტრაცია სჭირდება.

ლიტვა ესპანეთს ხუთჯერ შეხვდა და რა თქმა უნდა, ვერც ერთხელ ვერ მოუგო, თუმცა ლიტველებმა საუბერგანდთან ერთხელ ფრე გაახერხეს. ეს 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში მოხდა - ვილნიუსში გამართული მატჩი მაშინ 0:0 დასრულდა. თუ დელ ბოსკეს გუნდი დღესაც მოიგებს, 5 თამაშის შემდეგ, „ფურია როხას“ ასპროცენტური შედეგი ექნება.

თ	მ	შ	ნ	გ	ქ	
1. ესპანეთი	4	4	0	0	12-4	12
2. ჩხეთი	4	2	0	2	4-3	6
3. შოტლანდია	4	1	1	2	4-5	4
4. ლიტვა	3	1	1	1	2-3	4
5. ლიხტენშტეინი	3	0	0	3	1-8	0

გოტფრიდ ლანცი

ა ა ჯ უ ზ ი

თურქეთი-ავსტრია

ავსტრიის ნაკრებმა შაბათს, ბელგიასთან ძალიან ცუდად ითამაშა და საკუთარ მოედანზე 0:2 დამარცხდა, რის შემდეგაც, ავსტრიელთა შანსები, გავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე, ძალიან შემცირდა. დღეს მარკო არნაუტოვიჩსა და კომპანის კიდევ უფრო რთული ბრძოლა ელთი, რადგან თურქეთში თამაშობენ. მიუხედავად მარცხისა, ავსტრიელები ჯგუფში მეორე ადგილზე დარჩნენ და დღეს მათი მიზანი მინიმუმ ფრის მიღწევაა, რაც ნამდვილად არ იქნება იოლი, რადგან გულს შილინის გუნდს სამი ქულა შაჰრით სჭირდება - თურქებს გამარჯვების შემთხვევაში მეორე ადგილზე გადასვლის შანსი გაუჩნდება.

ბელგია-აზერბაიჯანი

ვენაში, „ერნსტ-ჰაპელ-შტადიონზე“ მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვების შემდეგ, ბელგიის ნაკრებს აზერბაიჯანთან შეხვედრის სახით, ერთი შეხვედრით, მარტივი საშინაო დავალება აქვს. თუმცა აზერბაიჯანის ნაკრები ნამდვილად არ არის ხელნაშობსაკრავი გუნდი. მართალია, ჩვენი მეზობლები მე-5 ადგილზე არიან, მაგრამ ყველაზე ცოტა თამაში (სულ სამი) აქვთ ჩატარებული და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზერბაიჯანს თურქეთის ნაკრები ჰყავს დამარცხებული...

თ	მ	შ	ნ	გ	ქ	
1. ბერლინი	5	5	0	0	17-1	15
2. ავსტრია	4	2	1	1	9-6	7
3. ბელგია	5	2	1	2	10-8	7
4. თურქეთი	4	2	0	2	6-6	6
5. აზერბაიჯანი	3	1	0	2	2-9	3
6. მსოფლიო	5	0	0	5	0-14	0

ბ ა ჯ უ ზ ი

ესტონეთი-სერბეთი

ჩრდილოეთ ირლანდიის დამარცხებით, სერბეთმა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორა. რადიომირ ანტიჩის გათავისუფლებისა და ვლადიმირ პეტროვიჩის დანიშვნის შემდეგ, სერბებმა თამაში ამკარად გააუმჯობესეს, თუმცა პარასკევს სასურველი შედეგის მიღწევა მაინც გაუჭირდათ. დღეს პეტროვიჩისა და მისი შეგირდების წინაშე კი მორიგი ამოცანაა - გასვლითი შეხვედრა ესტონეთის ნაკრებთან, რომლის დამარცხებაც, თანაც სტუმრად, არცისე იოლია. თანაც, ბევრისთვის გასაოცრად, ევროპის ჩემპიონატის საგზურზე ესტონელებიც ფიქრობენ და ფაქტია, რომ სერბებს იოლად არაფერია დაუთმობენ.

სერბეთის ნაკრებს ტალინი დაცვის ბურჯი ნევან სუბოტიჩი არ ეყოლება. დორტმუნდელმა უკანასაზღვლა ტრავმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრაში მიიღო. სუბოტიჩთან ერთად, პეტროვიჩი კიდევ ორ უმთავრეს ფეხბურთელს, დიან სტანკოვიჩსა და მილოშ კრასინს ვერ გამოიყენებს - „ინტერისა“ და „ოვენტუსის“ ფეხბურთელები დისკვალიფიცირებული არიან.

ჩრდ. ირლანდია-სლოვენია

ჩრდილოირლანდიელებმა პარასკევს სერბეთთან მედგრად იბრძოლეს, დიდხანს იგებდნენ და საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ (1:2), მაგრამ რაკი სლოვენის ნაკრებმაც წააგო (0:1 იტალიასთან), მდგომარეობის მნიშვნელოვნად გამოსწორების შანსი შერჩათ. ჩრდილოეთ ირლანდია დღეს უშუალო კონკურენტს, სლოვენის ნაკრებს მას-



ლიტვის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რაიმონდას ჟუტაუტასი და მისი ესპანელი კოლეგა ვისინტე დელ ბოსკე

● იტალიის ნაკრები


პრანდელი: მაქსიმალური მოტივაცია

აქურას ჯილა უკაპიტნავს

სლოვენისთან მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვების შემდეგ, იტალიის ეროვნული ნაკრები კიევში გაემგზავრა, სადაც უკრაინის ეროვნულ ნაკრებთან გამართავს შეხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ამხანაგურია, ჩეზარე პრანდელი შევირდებისგან მაქსიმალურ კონცენტრაციას და სრულ მოტივაციას ითხოვს.

„უნდა დავფიქროთ სიტყვა ამხანაგური და ბრძოლისთვის მოვემზადოთ. სლოვენისთან პაექრობაში ბევრი ხარვეზი იყო ჩვენს თამაშში და მსურს, რომ უკრაინასთან ვაცილებით უკეთ წარმოვიჩინოთ. პირველი რიგში, ეს თამაშის ტემპს ეხება, უფრო მოტივებული უნდა ვიყოთ, მეტი ვიმოძრაოთ, სწრაფად გადავიდეთ დაკვიდან შეტევაზე და პირიქით. შეთამაშების მხრივაც იყო გარკვეული პრობლემები და ამაზეც საუბრობთ. მოკლედ, უკრაინასთან გასამართავ პაექრობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, მსურს მაღალ დონეზე მოასპარეზე „სკუადრა აძურა“ ვიხილო“.

პრანდელი ბრძოლაზე და მაქსიმალურ მოტივაციასზე საუბრობს, მაგრამ ისიც ფეხბურთის, რომ სასტარტო შემადგენლობაში მუტინი იყო. ფეხბურთელები მოხვდებიან, რომლებიც სლოვენიაში სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. იტალიური სპორტული გამოცემები საგარეო სასტარტო შემადგენლობას აქვეყნებენ და ჩვენც, ტრადიციულად, როგორც მისხედვით მივყვებით...



ჩეზარე პრანდელი

მეკარე

ჯანლუიჯი ბუფონმა სლოვენიაში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „აძურამ“ სამი ქულის აღება მოახერხა. წინასწარ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კიევში ჯიჯი სამატჩო განაცხადში არ იქნება და უკრაინის დედაქალაქს მხოლოდ ტურისტის რანგში ესტუმრა. ძირითად შემადგენლობაში ემილიანო ვივიანო მოიაზრება, რომელიც მიმდინარე სეზონში მართლაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მეორე ნახევარში კი ალბათ სალვატორე სირიგუ ჩადგება იტალიის ნაკრების კარში.

რადესაც ჩეზარე პრანდელის ჰკითხეს თუ რომელია მეორე მეკარე, პასუხად შემდეგი სიტყვები მოისმინეს: „ბუფონი პირველია და ამაში ალბათ ყველა დამეთანხმება. რაც შეეხება ჯიჯის მთავარ შემცველს, ერთი კონკრეტული გვარის დასახელება ნამდვილად გამიჭირდება. ამ დროისთვის, ვივიანოს და სირიგუს მივიჩნევ ნაკრებში ასპარეზობის ღირსად, ორივე მათგანი ძალიან მომხონს და ვფიქრობ, რომ მათი სახით, იტალიას საიმედო კიპერები ჰყავს“.

დასვა

სლოვენისთან პაექრობაში დაცვის ხაზმა მაღალ დონეზე ითამაშა, რაზეც

ანგარიში ნათლად მეტყველებს. კიევში გასამართავი პაექრობისთვის ჩეზარე პრანდელი საგარეოდ დირექტულად შეცვლის უკანა ხაზს და ოთხი ფეხბურთელიდან მხოლოდ ჯორჯო კიელინის დატოვებს სასტარტო თერთმეტეულში. „იუვენტინო“ დაცვის ცენტრში იმოქმედებს და საგარეოდ, დანიელ გასტალდელს შეუწყვილდება. „სამპდორიას“ ბოლოდროინდელი შედეგები არცთუ სახარბიელოა, მაგრამ გასტალდელმა მიიღო სანაკრებო შეთავაზება და ვნახოთ, როგორ გამოიჩინს თავს.

მარცხენა ფრთაზე ფედერიკო ბალცარეტის ნაცვლად დომენიკო კრიშიტო გაირჩება, რომელიც მარჩელო ლიპის დროს ხშირად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში. საერთოდ, მარცხენა ფრთაზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა და კრიშიტოს შანსი ეძლევა, საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინოს. სხვათა შორის, ბალცარეტზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა სლოვენისთან და გარდა უშუალო მოვალეობების მაღალ დონეზე შესრულებისა, საკვლე გადაცემაც მიითვალა აქტივში. არადა, მხოლოდ იმიტომ მიეცა თამაშის საშუალება, რომ ერთ-ერთ ვარჯიშზე ანდრეა რანოკია დაშვებულ და ფლანგზე სააპარეზოდ გამზადებულ ჯორჯო კიელინის ცენტრში მოუხდა ასპარეზობა. მოკლედ, ბალცარეტი უკვე ვიხილეთ საქმეში და ვნახოთ, როგორ წარმოაჩინს თავს კრიშიტო. შე-



ალბერტო ჯილარდინო

იცვლება მარჯვენა მცველიც – კრისტიან მაჯოს ნაცვლად, რომელმაც ასევე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა სლოვენისთან, ძირითად შემადგენლობაში საგარეოდ დავიდო სანტონს ვიხილავთ. „ინტერის“ „ჩეზენაში“ განათხოვრებული განაპირა მცველი საკმაოდ კარგ ფორმაშია და ამიტომაც მიიღო სანაკრებო მინვევა.

ნახევარდასვა

სლოვენისთან პაექრობაში იტალიამ 4-4 ტაქტიკით ითამაშა და თუ ავნიჩელი ჟურნალისტებს დაუფიქრებთ, ასე იქნება უკრაინასთანაც. რიკარდო მონტოლივომ და ალბერტო აკვილანომ ლიუბლიანაშიც ითამაშეს სასტარტო შემადგენლობაში და საგარეოდ, კიევშიც ძირითადში იქნებიან. როგორც ჩანს, პრანდელის კიდევ ერთხელ სურს მათზე დაკვირვება, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, რამდენად სჭირდება ეს ორი მოთამაშე „აძურას“. სტეფანო მაურიმ და ტიაგო მოტამ საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშეს სლოვენიაში და ასეთი ვარაუდიც აქვთ მომდინარეობს. რაც შეეხება დანარჩენ ორ შუახაზელს, ერთი ანტონიო ნოჩერინო იქნება, ხოლო მეორე კლაუდიო მარკიზიო. ორივე მათგანი მეორე ნახევარში ჩაერთო სლოვენისთან თამაშში და ამჯერად, პირველივე

ნუთებიდან შეერკინებიან მეტოქეს. განსაკუთრებული ყურადღებით ნოჩერინო სარგებლობს, რომელმაც საკმაოდ კარგად წარმოაჩინა ლიუბლიანაში თავი და მწერტელის ქებაც დაიმსახურა. მოფუსმინით ანტონიოს:

„ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობის საშუალება მომეცა და თანაც, ოფიციალურ პაექრობაში. ყველაზე მეტად „პალერმოს“ ვემადლიერები, გუნდს, რომელმაც განვითარების საშუალება მომცა და ეროვნული გუნდისკენ გამიხსნა გზა. დღეს, მართლაც რომ საუკეთესო ფორმაში ვარ და ეს დაულალავი შრომის შედეგია. ჩემი მთავარი მიზანია, რომ ეროვნულ ნაკრებში დავიმკვიდრო ადგილი და სტაბილურად ძირითად შემადგენლობაში ვიასპარეზო“.


თავდასხვა

ალბერტო ჯილარდინო რომ ძირითად შემადგენლობაში იქნება, ამას წყალი არ გაუფა. თავად, ჩეზარე პრანდელის მოუსმინეთ: „უკრაინასთან პაექრობაში იტალიის ნაკრებს ალბერტო ჯილარდინო უკაპიტნებს. ის მსოფლიოს ჩემპიონია, ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი „აძურაში“ და ამას ნამდვილად იმსახურებს. საერთოდ, ჯილაზე ძალიან დიდ იმედებს ვაწყობებ და მჯერა, რომ თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩინს“.

პრესასთან გასაუბრება ჯილარდინო-

● აზიზები

ეროვნული



მალღივანე აქტიურობა
 ლუკა ტონი იტალიელი ფეხბურთელი პაოლო მალდინი ქრთამის გადახდასა და საიდუმლო ინფორმაციების უკანონოდ მოპოვებაში ეჭვმიტანილი. ასეთი გადაწყვეტილება მიღანელმა მოსამართლე ლუიჯი ვარანელიმ გამოიტანა. პროკურატურის ვერსიით, პაოლომ იტალიის საგადასახადო სამსახურის მალღივანოსთან ქრთამი გადასცა, რათა მას ვეტერანი ფეხბურთელის საქმიანობის ფინანსური დეტალები არ გამოეკვლია და პარალელურად იტალიის პროვინცია ტოსკანაში კანონით გასაიდუმლოებული ინფორმაცია მოეპოვებინა უძრავი ქონების შესახებ.

ლენონმა ნაკრები დატოვა

„ტოტენჰემის“ და ინგლისის ნაკრების განაპირა ნახევარმცველმა აარონ ლენონმა დატოვა სანაკრებო ბაზა და კლუბს დაუბრუნდა, რისი მიზეზიც მუხლის ტრავმაა. დაზიანება სერიოზული ნამდვილად არ არის, მაგრამ ფეხბურთელს ამ უქმეებზე „უიჯანთან“ დაპირისპირების გამოტოვება მოუწევს. აქვე შეგახსენებთ, რომ ფაბიო კაპელოს შევირდებს დღეს განასთან ამხანაგური მატჩი ელით.

უკრაინა შუაზე გაკაფა

უკრაინის ნაკრების თავკაცმა იური კალიტვინცევმა უფრანლისტებს განუცხადა, რომ ნაკრების კაპიტან ანდრეი შევეჩენკოს იტალიის ნაკრებთან თამაშის პერსპექტივა ეჭვქვეშ დგას. „ანდრეი შევეჩენკოზე თავდაუზოგავად მუშაობდა და შესანიშნავი ფორმაშიც იყო, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო სასწრაფოდ ლონდონში გამგზავრება მოუხდა. თუკი კაპიტანს თამაშის იოტისოდენა შანსიც კი ექნება, ის ამას ხელიდან არ გაუშვებს. ვნახოთ. გამორიცხული არ არის, მან თამაში გამოტოვოს,“ – განაცხადა კალიტვინცევმა.

ბლუპერი ვან ნისტალკოის უხმობს

„პლემპერის“ მთავარმა მწვრთნელმა სტივ კინმა დაადასტურა, რომ მისი გუნდი ზაფხულზე რუდ ვან ნისტალკოის გადაბირებას შეეცდება. „ვარდებს“ პოლანდიელი სუპერვარსკვლავის შექმნის შანსი 1,5 წლის წინაც ჰქონდათ, თუმცა სემ ელერდაისმა მაინცდამაინც არ მოინდომა და თანაც კლუბი პოლანდიელის მიერ მოთხოვნილ ხელფასსაც ვერ სწვდებოდა. ინდოელი ინვესტორების მოსვლის შემდეგ „ბლექბერნის“ ფინანსური პრობლემები წარსულს ჩაბარდა. მათ ამჟამად თავისუფლად შეუძლიათ რუდის მადის დაკმაყოფილება.

ბლუპერი ბრაზილით უკაყოფილა

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა მოუწოდა საზოგადოებას, დაუნდობლად ებრძოლოს კორუფციას საფეხბურთო სამყაროში და განსაკუთრებულად სთხოვა ფეხბურთელებს, სამაგალითონი გახდნენ მინდორს მიღმა ცხოვრებაში. მისი თქმით, ფეხბურთში სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს დისკრიმინაცია. პრეზიდენტი ვრცელ გამოცხადებაში მეფო უამრავ თემას და ბოლოს, სასხვათაშორისოდ დასძინა, რომ ის ძალზე უკმაყოფილოა ბრაზილიაში მიმდინარე სამშენებლო პროცესებით. ბლატერის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ამერიკაში 2010 წლის ჩემპიონატის მოსამზადებელი სამუშაოები დათქმულ ვადას ადარებდა, სამხრეთ-ამერიკელები მათ ამ ჩამორჩენილ გრაფიკასაც კი ვერ ეწევიან. მან მოუწოდა ბრაზილიის ხელისუფლებას ყველაფერი გააკეთოს პროცესების დასაჩქარებლად.

მოთამაშე ფიქრით თავს არ ილღის

„პლემპერის“ ლიდერ ჩარლი ადამზე ჩვენი გაზეთი საკმაოდ ბევრს წერდა. გახსოვთ, რომ მას „ლივერპულში“ უნდოდა გადასვლა, მაგრამ კლუბმა არ გაუშვა. ფეხბურთელი ბედს შეეგუა და მას მერეც კი, ამჟამინდელი კლუბისთვის თავს არ ზოგავს. ის აცხადებს, რომ კონცენტრირებულია „ბლექპულის“ საქმეებზე, სურს კლუბს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმაროს და აქედან გამომდინარე, ზაფხულის ცხელ სატრანსფერო საქმეებზე ფიქრით თავს არ ილღის. გუნდმა მშვენივრად დაიწყო პრემიერლიგაში სადებიუტო სეზონი, თუმცა ბოლო პერიოდში ტემპს მოუკლო და გამორიცხული არ არის დაქვეითების საფრთხის წინაშე ის მაინც დადგეს. დღეს „ბლექპულს“ პრემიერლიგის ცხრილში მე-15 ადგილი უკავია, თუმცა პოლონადილოსანს სულ რაღაც 3 ქულით უსწრებს. ჩარლი ადამის პერსონით ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ტოტენჰემი“ და უკვე ნახსენები „ლივერპული“ არიან დაინტერესებულნი. აი, რას აცხადებს ფეხბურთელი: „დიდი პატივია, როცა ჩემს სახელს პრემიერლიგის გრანდების კონტექსტში ახსენებენ და აცხადებენ, რომ ასეთი და ასეთი კლუბებს ადამის შეძენა სურთო. თუმცა ამ ნუთას მხოლოდ ჩემს გუნდზე, ჩემს პარტნიორებზე და მათ მომავალზე ვფიქრობ. ბლექპულელმა თანაგუნდელმა დიდი დახმარება გამიწიეს იმაში, რომ ახლა ჩვენი კლუბი იმ დონეზე თამაშობს, რომ ჩემპიონატის აუტსაიდერები არ გვექვია. ამისთვის ჩვენ ძალიან მაქსიმალურად ვმზადდებით. ლიგაში დასარჩენად არასოდეს დავზოგავთ თავს. დიხ, მე „ბლექპულის“ ფეხბურთელი ვარ და სხვაზე ახლა ნამდვილად არაფერზე ვფიქრობ. ჩემი ფიქრები პრემიერლიგაში სეზონის დასრულებამდე ჩასატარებელი მ მატჩის ირგვლივ ტრიალებს. რა გადაწყდება სამომავლოდ, ამას ზაფხულზე ვნახავთ. ყველაფერი ჩემზე დამოკიდებულია“.

ლევან პიპილაშვილი



ლამა ნიკლაური

● **ჰილდობა. ევროპის ჩემპიონატი**

დორცხუნდუი, ევროპის ჩემპიონის

დღეს დორცხუნდუი ევროპის ჩემპიონატი იწყება თავისუფალ ჭიდაობაში. გერმანიაში ჩვენი ნაკრები გადახალისებული, მაგრამ სრული გუნდით ისპარეზებს: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55), მალხაზ ზარქუა (60), კობა კაკალაძე (66), დავით ხუციშვილი (74), დავით მარსაგიშვილი (84), ბელდუხ გავაშვილიშვილი (96), დავით მოძინაშვილი (120).

დღეს ზარქუა, ხუციშვილი და გავაშვილი იჭიდავებენ. წუხელ გამართულმა წილისყრამ მათი მეტოქეებიც გამოავლინა. იმის მიუხედავად, რომ პირველ წრეში არც ერთი ჩვენებური არ ისვენებს, შეიძლება ითქვას, მათ მაინც გაუმართლათ - ასცდნენ რუს და აზერბაიჯანელ მეტოქეებს, ანუ მთავარ კონკურენტებს. ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ზარქუა პირველ შეხვედრას ფინელ იუკა ილმარი პიტიანიენტან გაამართავს, მასთან მოგების შემთხვევაში კი გერმანელ მარსელ ევალდსა და კვიპროსელ სტელიოს მამას შორის გამარჯვებულს შეხვდება. უდავოდ, ამ მეტოქეთაგან ყველაზე ანგარიშგასანიშნავი მასპინძელი ევალდია - ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი, თუმცა არა დაუძლეველი. ჩვენებურის ახლოს არიან ფრანგი ორგზის ევროპის ვერცხლის მედალოსანი დიდიე პაისი და მოლდოველი ევროპის პრიზიორი ანდრეი პერპელიტა. ბადის ამავე ნახევარში მოხ-

ვდნენ უკრაინელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი ვასილ ფედორიძინი და აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი ტოგრულ ასკეროვი, ოღონდ ისინი ჩვენებურს ნახევარფინალამდე ვერ შეხვედებიან და თან პირველ წრეში ერთმანეთში ჭიდაობენ.

თავიდან მასპინძელ ანდრეი შიკვას ხედება დავით ხუციშვილი, ამათში მიგებული კი იტალიელ კარმელო ლუმიასა და სლოვაკ დან პალინკას შორის გამარჯვებული გაარკვევს მეოთხედფინალში გამსვლელს. ვფიქრობთ, ჩვენებურს მათი ძლევა არ უნდა გაუჭირდეს, გამოუცდებლობამ თუ არ დააღალატა - ის ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ოფიციალურ შეჯიბრებას პირველად ჭიდაობს. კაცმა რომ თქვას, მას მაინცდამაინც ძლიერი მეტოქეები ბადის არც იმ ნახევარში ჰყავს, საიდანაც მისი მეოთხედფინალური ეტაპის მოწინააღმდეგე უნდა გაირკვეს - იქ ანგარიშგასანიშნავი მხოლოდ თურქი ბატუმან დემირჩინია.

გავაშვილიშვილი ჩვე ვრატისლავ ჩოტას ეჭიდავება. ცხრილში მის სახელოვან ძლიერი ფალანგები არ არიან, ერთ-ერთი საგარეულო მეტოქე კი საბერძნეთის სახელით მოასპარეზე მიხეილ ჩიქოვანია.

ირაკლი თავაძე

● **ბარძნულ-რომაული ჰილდობა. საკართველოს ჰაბაქოთა პირველობა**

გაღახუარიდან გაღახუარამდე - ბრალითა ბრძალა

ამ უქმეებზე დიღმის ძიუდოს აკადემიამ ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელიც ერთ-ერთი საკვანძო შეჯიბრებაა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წასაყვანი გუნდის ჩამოსაყალიბებლად. თავის მხრივ, ამ მიზანმა მოზარდებზეც იმოქმედა და ჩემპიონატში 207 ფალანგანი მონაწილეობდა.

დაახლოებით ერთი თვის წინათ ამ ასაკის მოჭიდავეებმა გლდანში, ოლიმპიურ ბაზაზე მასურადის სახელობის მემორიალში იჭიდავეს. ახლანდელ მედალოსანთა შორის ბევრი მაშინდელი პრიზიორიც მოხვდა, ახალი სახელებიდან კი ერთზე შეეაწერებთ თქვენს ყურადღებას - 100-ში გამარჯვებულ ზურაბ გედეხაურზე, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონ გედეხაურის შვილია. ვეტერანი მოჭიდავე ათნლეულეზია, მოსკოვში ცხოვრობს. ის დღესაც იქაა, თუმცა ცოლ-შვილი უკვე გამოუშვა თბილისში და ახლო მომავალში, ალბათ, თავადაც დაბრუნდება, მანამდე კი მისმა შვილმა პირველი ხმაბალა სიტყვა თქვა ქართულ საჭიდაო სარბილეზე.

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე დაბრუნდნის შემდეგ, ნაკრების კანდიდატები იქამდე კიდევ რამდენიმე ტურნირში გამოვლენ. გუნდით საბოლოოდ ამის შემდეგ დაკომპლექტდება. 7 აპრილიდან ისინი დაუბრუნდნენ საქრებს დაიწყებენ, მერე კი ბაქოში ისპარეზებენ.

ირაკლი თავაძე

● **მშვილდოსნობა. ევროპის ჩემპიონატი**



მშვილდოსნობა საშუალოში დაბრუნდნენ

მშვილდოსნობა ქალთა ნაკრები გუნდის დილით დაბრუნდა ქსანეთიდან, სადაც ევროპის ჩემპიონატზე გუნდური პირველობაში გაიმარჯვა. ჩემპიონობისკენ მიმავალი გზიდან მათ პოლონეთის, რუსეთისა და უკრაინის გუნდები ჩამოიცილეს. განსაკუთრებით ძნელი რუსებთან ნახევარფინალში ბრძოლა გამოდგა, რომლებსაც დამატებით ბრძოლებში მოუგეს. ეს ჩვენი ნაკრების ყველაზე სოლიდური გამარჯვებაა.

ეს შეჯიბრება პირველი ოფიციალური ტურნირი იყო კორეელ იონგ სონგ ანისთვის, რომელიც ვერ ოფიციალურად არაა დამტკიცებული ნაკრების თავაკადი, დანიშნულ ფინანსები აფერხებს, თუმცა ეს დროის საკითხია.

გუნდშივე სამშობლოში დაბრუნებული გუნდის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა მიიღო და წარმატება მიულოცა. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტურნირში გამარჯვება არ იყო იოლი და ჩვენებმა ეს დამაბულ ბრძოლაში შეძლეს. წარმატებას სიამოვნებით გამოეხმაურა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვამეყბაძე. წარმატებას სიამოვნებით გამოეხმაურა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვამეყბაძე. წარმატებას სიამოვნებით გამოეხმაურა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვამეყბაძე.

ფედერაციის გენერალურ მდივან არტიომ სანიშვილს გავესაუბრეთ, რომელიც თან ახლდა გუნდს ქსანეთში. - შედეგიდან გამომდინარე, ჩანს, სპორტსმენებმა კარგად შეასრულეს მწვრთნელის დავლებები...

- მთავარი, რაც ამ ტურნირმა დაგვანახვა, ეს იყო მობილიზებული და საერთო მიზნისთვის შეკრული გუნდი. ყველა აღნიშნავდა, რომ წინა წლებთან შედარებით, ჩვენები ამჯერად ბევრად მოტივირებულნი იყვნენ. მწვრთნელი მათ

დღეში ორჯერ დროს უთმობდა ფსიქოლოგიურ მომზადებასაც, რამაც შედეგი გამოიღო. პლეი ოფში იოლად მოუგეს პოლონელებს, რუსებთან თავიდან ვაგებდით 2-3 ქულით, მაგრამ ნელ-ნელა დავენიეთ და ბოლოს გაუთანაბრეთ ანგარიში. დაინიშნა დამატებითი სროლები, რომელიც ისევ ფრედ დასრულდა, მერე დამატებით სროლებში კი ორი ქულით მოვიგეთ. უკრაინელებთანაც ვაგებდით ფინალში, მაგრამ ვოკები არ გატყდნენ და აქაც მიანდეს მიზანს. ალბათ, უკრაინელები იმედავენდნენ, რომ რომელიმე ჩვენგანი ვააფუჭებდა სროლას, მაგრამ ესეებო რომ ისროდა, მერე დისამიტიც ზუსტად მიაყოლებდა, რასაც ნარინიძის ნასროლი აბოლოებდა. საბოლოოდ დაძაბულობას სწორედ უკრაინელებმა ვერ გაუძლეს. საინტერესოა, რომ შეჯიბრებისას კორეელი სერთოდ არ უყურებდა სამიზნეს, გოგობს მხოლოდ ტექნიკური სახის რჩევებს აძლევდა. მთავარია, ტექნიკურად სწორად ისროლოთ და ისარი თავისით მონახავს გზას, ამბობდა ის.

- საინტერესოა, ფინალის დამთავრების შემდეგ რა თქვა კორეელმა, როგორ შეაფასა გუნდის გამოსვლა?

- შეფასება ის იყო, რომ გუნდი დარბაზში გაიყვანა სასროლეთზე და იქ ვაგარძელა წვრთნა - სპორტსმენებს შეეძლოთ უთითებდა. თუმცა ის ასე იქცეოდა ყველა შეხვედრის შემდეგ. მოგებით ეიფორიაში არ ჩავარდნილა. თქვა, რომ ჩემპიონობა კარგია და ეს დიდი გზის დასაწყისია, რომელშიც ლიცენზიები და სხვა წარმატებები უნდა მოგვიტანოს, ამით ვაგრძელებთ ბრძოლას ოლიმპიადის საგზურებისთვის. ეს უკვე გუნდია და არა უბრალოდ ნაკრები, ასე შეაფასა მან ნაკრების გამოსვლა. იგი ამჟამად მწვრთნელი, მიჯვრებენო, მის მუშაობას

ხათუნა ნარინიძემაც მალაღი შეფასება მისცა. კორეელს არც ეეჭვება, რომ ქალთა ნაკრები სამივე ლიცენზია მოიპოვებს, თუმცა ერთ საგზურს არც ბიჭებისგან გამოირცხავს.

- გადწყდა თუ არა კორეელის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა და ამ შემთხვევაში, რა ბედი ელის ნაკრების ახლანდელ მთავარ მწვრთნელ თამაზ ფუტყარაძეს?

- მე რამდენადაც ვიცი, კორეელის დანიშვნა გადწყვეტილია, ფუტყარაძე კი, ალბათ, მის გუნდში არ დარჩება, რადგან არ იზიარებს აზიურ მეთოდებს. მწვრთნელი ამბობს, რომ ვინც მის მიდგომებს არ ეთანხმება, არც გუნდში იქნება - ეს ეხება როგორც სპორტსმენებს, ისე - მწვრთნელებს.

P.S. ბუნებრივია, კორეელის დანიშვნას მივესალმებით, როგორც, ზოგადად, უცხოელ მწვრთნელთა მოწვევას. მართალია, მათ ძალიან უჭირთ აქაურ რეალობასთან შეგუება, რადგან, სამუშაოდ ჩვენი მენტალტეტი მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლურს, თუმცა არც ის გვიანდა, მოწვეულთა ხარჯზე ქართველ მწვრთნელებს უდიერად მოვეცქეთ. იგივე ვიტყვით თამაზ ფუტყარაძეზეც! არ ვამბობთ, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტზე უნდა დატოვონ - ეს ფედერაციის საქმეა, მაგრამ იქნებ ისე მოვხებოთ, არც გულნატკენი დარჩეს და ნაკრებიდან ციცილოზელთა ფორმით გაუშვან. რაც უნდა იყოს, ამ კაცმა და მისმა ბათუმურმა გუნდმა შეინარჩუნა მშვილდოსნობა საქართველოში, ხოლო ნაკრებს თუ ევროპის ჩემპიონობა ვერ მოაპოვებინა, ორჯერ ვერცხლი და ბრინჯაო ააღებინა ამიტომ, ვფიქრობთ, მისი მუშაობა დაფასებას იმსახურებს.

ირაკლი თავაძე

● **წყალბურთი**

ოლიმპიკში საქართველო ელადას უმასპინძლებს

შარშანდელი მომდგომით საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატში ჩაება. ჩვენები შესარჩევ ჯგუფში პრიტანელეთთან და ბერძნეთთან ერთად მოხვდნენ. პირველი ტურის მატჩში შინ, „ოლიმპიკის“ აუზში, კუნძულელებს 9:3 მოუგეს, ელინელებმა კი მანჩესტერში სძლიეს ინგლისელებს - 13:2.

და, აი, მეორე წრის ორთაბრძოლის ჯერიც დადგა. 30 მარტს საქართველოს ნაკრები კვლავ მასპინძლის როლში იქნება და ჯგუფის ფავორიტ საბერძნეთის ნაკრებს შეხვდება. სიტყვა „ფავორიტი“ შემთხვევით არ გვიხსენებია: ჩვენი ხვალისდელი მეტოქე მსოფლიო წყალბურთის ელიტის წარმომადგენელია. 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ელადავლებმა ბრინჯაოსთვის ბრძოლა რუსებთან დათმეს და მე-4 ადგილს დაეჯიბულდნენ, 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშების ცხრილში კი ერთი ადგილით მაღლა აინაცვლეს. 2002 წელს საბერძნეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს პირველობა მოიგო, შარშანდელი მსოფლიოს პირველობაში კი 1993 წელს დაბადებული ევროპის პირველობაზე ბერძნებმა მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმეს და II ადგილზე გაეციდნენ. საკმაოდ ძლიერი სამელიგიანი ეროვნული ჩემპიონატი აქვთ. პირველ ლიგაში 12 გუნდი იბრძვის მედლებისთვის, მათგან ოთხი

კლუბი რეგულარულად გამოდის ევროლიგასა და ლენტრივის გათამაშებაში. ერთ-ერთ გუნდს ქართველი გულშემატკივრებიც იცნობენ - ნლეულს ლენტრივის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-2 რაუნდში, რომელსაც კოტორმა უმასპინძლა, „პანიონოსმა“ „ლიგამუსი-თბილისი“ დაამარცხა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, მომდევნო ეტაპებზე სხვა მეტოქეებსაც სძლია, მათ შორის - ნახევარფინალში უნგრეთის „ჰონვედს“ და ფინალში იტალიის „სავონას“ დაუპირისპირდნენ.

საბერძნეთის ნაკრები დღეს თბილისში ასეთი შემადგენლობით ვეგნევა: 1. ფილიპოს კარამეტსოსი (პანათინაკოსი), 2. ემანუელ მილონაკისი (ოლიმპიაკოსი), 3. არტინ ელმისიანი (ეოლიაგენი), 4. ანდრეას მირალისი (პანიონოსი), 5. ევანგელოს-იოანის დელაკასი (ოლიმპიაკოსი), 6. არგიროს ტეოტოროპო-ულოსი (ოლიმპიაკოსი), 7. ხრისტოს ასროდაკისი (ოლიმპიაკოსი), 8. გეორგიოს ტიკასი (ოლიმპიაკოსი), 9. კონსტანტინოს მოურიკისი (პანიონოსი), 10. იოანის ფოუნტოულისი (ოლიმპიაკოსი), 11. ავრამ ალიჩანდისი (ლარისა), 12. მატეოს კოუცარაკისი (ეოლიაგენი), 13. სტილიანოს პროტონოტარისი (ეოლიაგენი). მთავარი მწვრთნელი ანდრის დრავანი, მწვრთნელი ვამიაკოს კონსტანტინოსი.



საქართველოს ნაკრები სტუმრებს ასეთი შემადგენლობით დაუხვდება: 1. ზურაბ ჭუმბურიძე (ლიგამუსი), 2. ვალაქტიონ ლათიაძე (თბილისი), 3. მარკო ელაჩა (რიკას პრიმორიკა, სორეატა), 4. იოვან პოპოვიჩი (ლიგამუსი), 5. მარკო კორდიჩი (ლიგამუსი), 6. გიორგი ხვედელიანი (ლიგამუსი), 7. რევაზ ჩომახიძე (ლიგამუსი), 8. მიხეილ ბალათურია (თბილისი), 9. ზურაბ რურუა (კ. ლიგამუსი), 10. კონსტანტინე გვეგელაშვილი (ლიგამუსი), 11. ტატიო ნიკოლეიშვილი (ლიგამუსი), 12. მარკო ელუზი (ბრეშია, იტალია), 13. ალექსანდრე ნამორაძე (თბილისი). მთავარი მწვრთნელი ზვიად დავითიანი, მწვრთნელი მირიან ასათიანი. მატჩი „ოლიმპიკში“ 21 საათზე დაიწყება.

ვაჟა დანელია

● **კალრაკი**

ჯოჯაჯა ბაშას უმაზა

ფრანგულ ეკს-ლე-ბენში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ტურის პარტიები გაიმართა. ბაადურ ჯოჯაჯამ (2707), რომელმაც შეჯიბრების სტარტზე ლუსტად ითამაშა, თანდათან ტემპს უმატა და გუნდის ორთაბრძოლის შემდეგ ლიდერთან ქულათა სხვაობა ერთამდე დაიყვანა - შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ევროპის პრიზიორმა გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა პოლანდელი დიმიტრი რეინდერმანის (2601) ძლევით ჩაიწერა. ასევე ოთხქულიანი ლევან ფანცულაია (2595), სამუნჯაბროდ, უნგრელ ოუდით პოლგარს (2686) დანებდა. აქვე გაუწყებთ დანარჩენ ქართველთა შედეგებს: ბორის ჩათალბაძე (ბულგარეთი, 2602)-დავით ლოტუანიძე (2489) 1:0, სოფილოს პალკაისი (საბერძნეთი, 2579)-ლელა ჯავახიშვილი (2437) 1:0, თორნიკე სანიკიძე (2542)-საქით ჰაგენი (დანი, 2290) 1:0, ნიკოლას გივარო (საფრანგეთი, 2318)-ლუკა პაიჭაძე (2487) 0.5:0.5, ლუდვიგ ფანტინი (საფრანგეთი, 2281)-სალომე მელია (2462) 0:1, პატრიკ ვანი (ჩერნოგორია, 2165)-დავით ზარქუა (2397) 0:1. მონაგარი კი ასეთია: ჯოჯაჯა-5, სანიკიძე-4.5, ფანცულაია, მელია-4.4, ჯავახიშვილი, ლოტუანიძე, პაიჭაძე, ზარქუა-3.5-3.5 ქულა. ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

ვაჟა დანელია

კალთბურთი

საქართველო და ევროპასკატი

დარჩა 155 ლა

გაირკვა: ლაზვიასთან ჯერ რიგაში, შემდეგ შაულიაში

ისტორიასთან გადაჯაჭვული დღევანდელი

გადანწყობილი საქმე: საქართველოს ნაკრები ლიტვაში გასამართალი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების დასკვნით ეტაპს ლატვიის გამართავს.

კალთბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა თებერვლის დასაწყისში გამოთქვა სურვილი, რომ ნაკრების მზადების გარკვეული ეტაპი ლიტვასთან მიახლოებული კლიმატის ქვეყანაში ჩატარებულიყო.

ჯერჯერობით მხოლოდ ლატვიასთან მატჩების თარიღები გადამწყვეტილი, ფედერაცია მოსამზადებელ ციკლზე ჯერაც აქტიურად მუშაობს და გვირგვინზე, რომ შეკრების გეგმა საბოლოო სახეს მალე მიიღებს და ჩვენც აუცილებლად შეგატყობინებთ.

ლატვიელთა თვალში

ლატვიის ნაკრებს აინარს ბაგაცკისი წერტონის, რომელიც ამჟამად თბილისშია, „სოხუმის“ მთავარი მწვრთნელია. იგი დღეს იუბილარია. ბაგაცკისი საქართველო-ლატვიის მომავალ დაპირისპირებებზე ვკითხეთ.

ქართველებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მათთან თანამშრომლობა საინტერესოა. ამასთან, მომწონს თქვენი კალთბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის საქმისადმი მიდგომა. მათთან შეთანხმებით საქართველო და ლატვია აგვისტოში ორჯერ ითამაშებენ. ჯერ რიგაში, 12-ათასიან დარბაზში, შემდეგ - შაულიაში. ლატვიელები ევროპის ჩემპიონატის მატჩებს სწორედ შაულიაში გაემართავენ. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრები ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

2:1, იგებს ლატვია

საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები ერთმანეთს სამჯერ შეხვედრიან: ორჯერ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ერთხელ - ამხანაგურად. ამ გუნდებმა ბოლოს რიგის საერთაშორისო ტურნირზე 2009 წელს ითამაშეს. შეხვედრას აინარს ბაგაცკისი ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. აი, როგორ იხსენებს იგი ქართველებთან მარცხს:

მატჩის წინა დღეს ლატვიამ საფრანგეთს სძლია და დარწმუნებული იყო, რომ ქართველებსაც დაამარცხებდა. მე კი ბიჭებს ვუთხარი - პროფესიულ სპორტში შესაძლებლობების დამტკიცება ყოველ მატჩშია საჭირო - საფრანგეთის ძლევა იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოზე უკეთესები ვართ-მეთქი. დღეს ევროპაში საქალაქბურთო დონე გათანაბრდა და „ფავორიტი“ მხოლოდ არაფრისმთქმელ სიტყვად დარჩება, თუ მატჩს სათანადოდ არ მიუდგები. კალაბურთის სახელები და უხვშემოსავლიანი კონტრაქტები კი არა, სპორტსმენები თამაშობენ. რიგაში საქართველოს ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა.

საქართველო ვაჭაჩი 27.08.2009 ლავია-საქართველო 72:80 19:22, 15:22, 17:20, 21:16 საქართველო: ცინცაძე (22 წთ, 5 ქ, 3 პ), ელისი (30 წთ, 10 ქ, 3 პ), სანიკიძე (28 წთ, 5 ქ, 7 პ), ცქიტიშვილი (24 წთ, 9 ქ, 7 პ), ფაჩულია (25 წთ, 14 ქ, 8 პ); გ. ბოისა (23 წთ, 18 ქ), შერმადინი (7 წთ, 3 პ, 2 დ), გამყრელიძე (25 წთ, 14 ქ, 3 პ), ა. ბოისა (13 წთ, 5 ქ), ტულუში (2 წთ)

საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები ევრო-1999-ის შესარჩევ ტურნირზე ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ჯერ ლატვიაში ითამაშეს, რამდენიმე თვეში - თბილისში. ვენტსპილსური მატჩი ერთი უსიამოვნო ფაქტის „მოწმეა“ - გუნდის მაშინდელმა ლიდერმა ვლადიმერ სტეფანიამ პირველ ტაიმში 18 წუთი ითამაშა, მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გამოჩენილა. ამის მიზეზი მუხლის ტრავმა იყო.

...სტეფანიას ნაკრების მაისურა მას შემდეგ ერთხელაც არ მოუჩვენია.

საყურადღებო დამთხვევაა: ვოვას ნასვლას ვოვას მოსვლა დაემთხვა - სწორედ ლატვიაში შედგა ვლადიმერ ბოისას დებიუტი.

ვენტსპილსური შეხვედრის პირველ ტაიმში ვლადიმერ სტეფანიამ ფეხი იტყინა და მეორე ნახევარში შეუცვლელად ვითამაშე. სხვათა შორის, ლატვიის კალათბურთის ჩამოყალიბებული 18 ქულა ჩემი სანაკრებო რეკორდია. მასხოვს, ნაკრებში პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა ვლადიმერ ბოისა. იმ მატჩში მნიშვნელოვანი სხვა არაფერი მოხდარა, გარდა იმისა, რომ დიდი სხვაობით წაგავთ, - იხსენებს კახა შენგელია.

ახლა აინარს ბაგაცკისის მოვლემებით:

ნაკრებში დიდი ხანი ვითამაშე და მხოლოდ ორჯერ ვერ მოხვდით ევროპის ჩემპიონატზე. ერთხელ სწორედ ის შესარჩევი ბარიერი ვერ გადავლიეთ, რომელშიც საქართველოს ნაკრებთან მოგვინია თამაში. მაშინ ნამდვილად ძლიერი გუნდი გვყავდა და ფავორიტებადც მიგვიჩნევდნენ, მაგრამ ამის დამტკიცება მოედანზე იყო საჭირო. ვენტსპილსში ეს მოვახერხეთ. მასხოვს, საქართველოს ნაკრების თამაში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ვლადიმერ სტეფანიასზე, რომელიც იმხანად სლოვენის „ოლიმპიაში“ თამაშობდა. იგი ძლიერი მეფარე და სამაგიერო მონაწილე იყო.

ევრო-1999-ის შესარჩევი 25.02.1998. ვენტსპილსი ლავია-საქართველო 99:63 58:35, 41:28 ლატვია: ჰელმანისი (10 ქ, 5 პ), აზაცისი (1 ქ), შტელმაპერსი (13 ქ, 9 პ), ზუსკევიჩისი (3 ქ, 6 პ), ვალტერსი (8 ქ), ვალეიკო (8 ქ), ბაგაცკისი (24 ქ, 5 პ), სკრიმანტისი (2 ქ), ბერნასტი (14 ქ, 6 პ), ვეჩვარსი (11 ქ, 5 პ).

საქართველო: მაისურაძე (26 წთ, 10 ქ, 2 პ), სტეფანი (18 წთ, 13 ქ, 3 პ), ხოშტარია (26 წთ, 0 ქ, 2 პ), ბუგაიშვილი (28 წთ, 4 ქ, 4 პ, 5 პ), გოგობერიშვილი (19 წთ, 2 ქ, 3 პ, 1 პ), ვაშაქიძე (21 წთ, 2 ქ, 6 პ, 2 პ, 1 პ), შენგელია (29 წთ, 18 ქ, 13 პ, 2 პ), ჯაფარიძე (17 წთ, 9 ქ, 1 პ), ბოისა (16 წთ, 5 ქ, 5 პ, 1 პ)

ლაზვიასთან უკმაყოფილო

ბოისას 16, მანუს გადაწყვეტილი სამიანები

„ბენეტონთან“ ტრევიზოში წააგო ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსმა“ - 71:79. ქართველმა ფორვარდმა 28 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი ჩაინერა.

მარცხის მიუხედავად „ვირტუსმა“ მეოთხე ადგილი შეინარჩუნა, რადგან უახლოესმა მდევარმა, „აველინომ“ ბოლოადგილოსან „ტერამოსთან“ სტუმრად ოვერტაიმში დათმო - 97:99.

„აველინოს“ განაცხადში იყო მეტრად ბოქოლიშვილი, მაგრამ არ უთამაშა.

იტალიაში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა საქართველოს ნაკრების ყოფილმა გამათამაშებელმა შემონდ უილიამსმა. მან 16 წუთში 10 ქულა ჩააგდო. მისმა „მონტეგრანარომ“ „პრინდისი“ 96:54 დაამარცხა.

იტალიის მეორე ლიგაში „რიმინი“ „იმოლას“ 80:70 სძლია. გამარჯვებულთა ქართველმა ფორვარდმა ნიკა მეტრეველმა 2 წუთი ითამაშა.

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა 30 წუთი ითამაშა და 9 ქულას 3 მოხსნა და 4 პასი მიაბაძა.

ტიარონ ელისმა ბელგიელი ვან როსომის „სარაგოსას“ 17 ქულა ჩაუგდო. „ესტუდიანტესმა“ კი დიდი სხვაობით გაიმარჯვა - 106:89.

„ალიკანტესთან“ მატჩში „სტუდენტუდის“ ფორვარდმა ქუინტონ მოსლიმ 19 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი გაიმარცხა - 75:73.

24.02.1999. თბილისი საქართველო-ლატვია 96:98 38:50, 58:48 საქართველო: მაისურაძე (10 წთ, 2 ქ, 2 პ), ბოისა (28 წთ, 17 ქ, 6 პ, 1 პ, 1 პ), ხოშტარია (14 წთ, 4 ქ, 1 პ), აბრამიძე (30 წთ, 12 ქ, 3 პ, 2 პ, 1 პ), ბერძენიშვილი (18 წთ, 18 ქ, 7 პ), ჯაფარიძე (28 წთ, 12 ქ, 4 პ, 1 პ), ოთიურიძე (11 წთ, 7 ქ, 2 პ, 1 პ), ქარაბაგი (27 წთ, 6 ქ, 7 პ, 1 პ), ჩხეიძე (34 წთ, 18 ქ, 4 პ) ლატვია: ჰელმანისი (15 ქ, 5 პ), ვიტოლსი (5 ქ, 5 პ), შტელმაპერსი (13 ქ), ლაკსა (13 ქ, 6 პ), მიგლინიეკი (7 ქ, 3 პ), ბაგაცკისი (27 ქ), ბერნასტი (4 ქ), ვეჩვარსი (14 ქ, 3 პ).

მეორე მატჩი თბილისში ორი ქულის სხვაობით მოვიგეთ. განაგრძობს ბაგაცკისი, - კარგად მასხოვს, მთელი თამაშის განმავლობაში წინ ვიყავით, თუმცა ქართველები ბოლოს დაგვენივნივ და დასკვნით მონაკვეთში სიტუაცია დიდადა. თუმცა, ვფიქრობ, ძლიერმა გაიმარჯვა - მაშინ საქართველოში ომი ახალი დასრულებული იყო და ქვეყანა ეკონომიკურად დასუსტებული იყო. ომებისა და არასახარბიელო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფუნის მიუხედავად, ქართველები კალათბურთის მაინც გულაინად თამაშობდნენ. ეს ნათლად მიუთითებს ხალხის ქვეყნის ღირსებისადმი მიდგომის მაღალ ხარისხზე, ამიტომ იმ დროის კალათბურთელების წინაშე ქუდი უნდა მოვიხადოთ. სხვათა შორის, ნებისმიერი მატჩი, საფეხბურთო თუ საქალაქბურთო მინი-ოშია - სპორტში ხომ აგრესია ლეგალურია...

ლატვიასთან მეორე მატჩს საინტერესო კომენტარი გაუკეთა ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ლევან მოსკვილიმა, რომელსაც ფინანსური პრობლემების გამო რთულ პირობებში უწევდა მუშაობა:

მინ ლატვიასთან სტეფანიას გარეშე დავრჩით, ნაცვლიშვილიც, პრაქტიკულად, ცალი ფეხით თამაშობდა. ამის მიუხედავად, ბოლო ნაშებზე ორი ქულის სხვაობით დავმარცხდით, რასაც დიდი გამოხიზურება მოჰყვა. ეს ზოგიერთს სენსაციად ეჩვენა, მაგრამ მალე დამტკიცდა, რომ ბალტიისპირელები ურიგო

კალაბურთს არ თამაშობდნენ. ისინი ჩვენთან იტალიაში ჩავიდნენ და მაშინდელ ევროპის ჩემპიონს ავინიონზე აჯობეს.

ერთ მატჩში აინარს ბაგაცკისმა 24 ქულა ჩააგდო, მეორეში - 27. როგორც ჩანს, იგი მაშინ ოპტიმალურ ფორმაში იყო.

1999 წელს პოლონეთის ჩემპიონატში ვითამაშობდი და იმ სეზონში საუკეთესო კალათბურთელად დამასახლეს. მანამდე, 1997 წელს, ესპანეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვიცე-სწრაპერი ვავხდი. ლატვიელებმა მაქსიმუმ 2001 წელს თურქეთში გამართულ ევროპასკატზე მივაღწიეთ: დავამარცხეთ სლოვენია და ლიტვა, თურქეთთან ბოლო ნაშებზე წაგავით. გავედით მეორე ეტაპზე, თუმცა, რუსეთთან და სერბეთთან დავთმეთ. ჩემპიონი სწორედ სერბები გახდა.

ვფიქრობ, საქართველო-ლატვიის დაპირისპირებებზე ამომწურავად ვილაპარაკეთ. ახლა ისლა დაგვრჩენია, დაველოდით იმის გარკვევას, კიდევ ვის წინააღმდეგ ითამაშებენ ქართველები აგვისტოში.

საქართველო კალაბურთის ეროვნული ფედერაცია სამქი-მარს უცხადებს ეროვნული ნაკრების კალაბურთელს გიორგი ცინცაძეს მამის გარდაცვალების გამო.



1999 წლის 24 თებერვლი: საქართველო-ლატვია. მამუკა აბრამიძე აინარს ბაგაცკისის (12) წინააღმდეგ

კალაბურთს არ თამაშობდნენ. ისინი ჩვენთან იტალიაში ჩავიდნენ და მაშინდელ ევროპის ჩემპიონს ავინიონზე აჯობეს.

ერთ მატჩში აინარს ბაგაცკისმა 24 ქულა ჩააგდო, მეორეში - 27. როგორც ჩანს, იგი მაშინ ოპტიმალურ ფორმაში იყო.

1999 წელს პოლონეთის ჩემპიონატში ვითამაშობდი და იმ სეზონში საუკეთესო კალაბურთელად დამასახლეს. მანამდე, 1997 წელს, ესპანეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვიცე-სწრაპერი ვავხდი. ლატვიელებმა მაქსიმუმ 2001 წელს თურქეთში გამართულ ევროპასკატზე მივაღწიეთ: დავამარცხეთ სლოვენია და ლიტვა, თურქეთთან ბოლო ნაშებზე წაგავით. გავედით მეორე ეტაპზე, თუმცა, რუსეთთან და სერბეთთან დავთმეთ. ჩემპიონი სწორედ სერბები გახდა.

ვფიქრობ, საქართველო-ლატვიის დაპირისპირებებზე ამომწურავად ვილაპარაკეთ. ახლა ისლა დაგვრჩენია, დაველოდით იმის გარკვევას, კიდევ ვის წინააღმდეგ ითამაშებენ ქართველები აგვისტოში.

ქართველი NBA-ში




დაგეგმილი

ბოლო წლებში „კლივლენდ კავალიერსი“ აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო, თუმცა შარშან კლუბიდან ლებრონ ჯეიმსი წავიდა და „კლივლენდის“ კონფერენციის აუტსაიდერად იქცა. შესაბამისად იოლი გამოსაცნობი იყო, რომ „აქლანტა“ „კავალიერებს“ სტუმრად დაამარცხებდა: ჯორჯიელებმა 99:83 იმარჯვეს.

ზაზა ფაჩულია 17 წუთში 2 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა.

საქართველოს კალაბურთის ეროვნული ფედერაცია სამქი-მარს უცხადებს ეროვნული ნაკრების კალაბურთელს გიორგი ცინცაძეს მამის გარდაცვალების გამო.



სლოვენია

სლოვენის ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე ტურში „ოლიმპია“ „პელიოსთან“ სტუმრად ითამაშა და ფავორიტის სტატუსი გაამართლა - 87:75.

ამ მატჩში, და საერთოდ, ლევიონერების მიმოხილვის ხმაურიანი მოვლენა ვლადიმერ ბოისას ეფექტური გარჯა იყო - 4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 7-დან 7 საჯარო გამოიყენა და 16 ქულა მოაგროვა. გარდა ამისა, ვოვამ ბურთი 3-ჯერ მოხსნა.

ბოისას დარად „ოლიმპიას“ სასტარტო ხუთეულში ითამაშა გიორგი შერმადინმა და ოქმში ორი კარგი და ერთი ცუდი ხუთიანი ჩაინერა - 5 ქულა, 5 მოხსნა, 5 ფოლი.



იტალია

იტალიის ჩემპიონატში ბოლო ტურამდე მეორე-მესამე ადგილებს ინანილებდნენ „კანტუ“ და „მილანი“, თუმცა განვილი უქმეებზე მილანელებმა წააგეს, ხოლო „კანტუმ“ ვასვლით მატჩში „სისარის“ 76:74 აჯობა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი გაიმყარა.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მანუარ მარკოვიჩის, რომელმაც მეოთხე პერიოდის შუაში, მაშინ, როცა თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდო. მანუს მონაგარი ასეთი იყო: 10 ქულა (3-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი), 2 პასი და თითო მოხსნა-ჩაჭრა.

საქონალი

ნაყოფიერად იშრომა გიორგი ცინცაძემ. ესტონეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში „რაკვერესთან“ მისი მონაგარი ასეთი იყო: 30 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა. ცინცაძის „როკმა“ „რაკვერე“ გამოკვერა - 88:72.

ბელგია

ბელგიის ჩემპიონატის მეორეადგილოსანი „აალსტის“ დამარცხების კარგი შანსი ბოლო წუთებზე ხელიდან გაუშვა „უეინსტერმა“ (90:92). თორნიკე შენგელიამ 23 წუთში 8 ქულა და 3 მოხსნა შეასრულა.

გვირდი მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა



ლეგიონერები მონაპოვნი ქვეყნის ლელო მოაბაზინა

საზრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით დარჩა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საპლეიოფო ექვსეულში ჯერჯერობით მხოლოდ ორია, „კასტრი“ და „მონპელიე“, ორიც - „კლერმონი“ და „ტულონი“, იქ მოხვედრის შანსს ისევ ინარჩუნებს. დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან „ქართული გუნდები“, „პრივი“ და „აჟენი“, რომლებმაც 22-ე ტურში წარმატებით ასპარეზეს და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს.

ქართულესი ბრძოლა გადახდა 22-ე ტურში მიმდინარე სეზონის აღმოჩენას, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“. ჩვენებურთა გუნდს ფრანგული რაგბის გრანდთან, პარიზულ „სტად ფრანსეს-თაქ“ მატჩში კაპიტანი და ლიდერი **ფუ-ლენსე უოდროაო** დააკლდა. ამიტომ მონპელიელთა ლიდერობა ორმა ქართველმა - გორგოძემ და ჟღენტმა - იკისრა.

ჩვენი მორაგბეები მოედანზე მართლაც გამორჩეულები იყვნენ და მეტწილად, სწორედ, მათი დამსახურება პარიზელთა ძლიერა 29:23. „მონპელიემ“ მატჩის პირველი ნახევარი 9:14 დათმო. მასპინძელთა გუნდს სიკეთე არც მეორე ნახევრის საწყის ოც წუთში ეტყობოდა. პარიზელები 65-ე წუთამდე 20:12-ს იგებდნენ.

აქედან მოყოლებული გორგოძე და ჟღენტი შეუწრებელი გახდნენ. „მონპელიემ“ ჯერ საჯარიმო ლელო გამოიმუშავა, მერე კი 69-ე წუთზე ქართველმა შერკინების ბურჯმა გიორგი ჟღენტმა გამარჯვების მომგანი ლელო გაიტანა. ის 75-ე წუთზე შევლიძემ შეცვალა, გორგოძემ კი სრულად ითამაშა, ჩხაიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

„მონპელიეს“ ახლა 61 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა. მომდევნო ტურში მონპელიელები სტუმრად ეთამაშებიან აუტსაიდერ „ბურგუნეს“, რომელიც, ფაქტობრივად, დივიზიონიდან უკვე გავარდნილია. ჩვენებურთა გუნდს, წესით, მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. ეს კი საშუალებას მისცემს, ლიდერთა შორის საგრძობლად გაიმყაროს პოზიცია.

ბოლო ტურებში შესანიშნავად თამაშობს და ჩემპიონობის საფუძვლიანი ამბიცია აქვს **აქვანტი გორგაძისა და ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს“. ჩვენებურთა გუნდმა 22-ე ტურში არანაკლებ ამბიციურ, დავით ქუბრაშვილის „ტულონს“ უმასპინძლა და 18:12 მოუგო. მატჩი მონაპოვნიდან ამრტყმელუბის - **რომენ ტულესა და ჯონი ვილკინსონის** დუელად გადაიქცა. ტულემ



მამუკა გორგოძე (მარცხნივ)

ექვსი საჯარიმო გაიტანა, „ვილკომ“ კი ორით ნაკლები.

ქუბრაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, ფეიქრიშვილი ტრავმირებულია, გორგაძე განაცხადში არ იყო.

„კასტრი“ ახლა 63 ქულით მე-3 ადგილზეა, „ტულონის“ სატურნირო მდგომარეობა კი საგრძობლად გაუარესდა. „ბურგუნეს“ ვარსკვლავები 56 ქულით მე-8 ადგილზე არიან და ადვილი შესაძლებელია, პლეი ოფის მიღმა დარჩნენ.

23-ე ტურში „კასტრი“ სტუმრად ეთამაშება **ბეჟა შევლაშვილის** „აჟენს“, რომელმაც შინ შეძლო საფრანგეთის ჩემპიონის დავით ზირაქაშვილის „კლერმონის“ დამარცხება 26:17. აჟენელები საშინაო არენაზე თითქმის უძღვევლები არიან. შევლაშვილმა და კომპანიამ რადგან ჩემპიონების დამარცხება შეძლო, გამოიცილეს არ არის, „კასტრას“ კუდიტ ქვა ასროლინოს, რაც მის შანსს, დივიზიონში ადვილი შეინარჩუნოს, ერთიორად გაზრდის. „კლერმონი“ კი ამჟამად საპლეიოფო ექვსეულს მიღმა, მე-7 ადგილზე იმყოფება.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ მხარი დაიშვა და 26-ე წუთზე შეცვალეს, შევლაშვილი მოედანზე 66-ე წუთიდან გამოჩნდა.

დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა კიდევ ერთმა „ქართულმა გუნდმა“, **დავით ხინჩაგიშვილისა და ვასილ კაკოვინის** „ბრივმა“ შინ „ბურგუნე“ გაანადგურა - 50:6. ამ გამარჯვებით ბრიველებმა, რომლებიც 37 ქულით მე-12 ადგილზე არიან, ოთხი ქულით გაუსწრეს ბოლოსწინა, მე-13 ადგილზე მყოფ „ლა როშელს“. 23-ე ტურში „ბრივი“ სწორედ ამ გუნდს მასპინძლობს და აუცილებლად უნდა დამარცხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში დივიზიონიდან გავარდნას ვერ გადაურჩება.

კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე ხინჩაგიშვილმა შეცვალა.

I დივიზიონი
XXII ტური
კასტრი-ტულონი 18:12, ლა როშელი-პერპინიანი 16:34, ბრივი-ბურგუნე 50:6,

აჟენი-კლერმონი 26:17, ბიარიცი-ბიონი 40:10, მეტრო რასინგი-ტულუზი 43:21, მონპელიე-სტად ფრანსე 29:23

საბურთაველი მდგომარეობა
1. ტულუზი - 69 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 68, 3. კასტრი - 63, 4. ბიარიცი - 62, 5. მონპელიე - 61, 6. პერპინიანი - 58, 7. კლერმონი - 58, 8. ტულონი - 56, 9. ბიონი - 54, 10. სტად ფრანსე - 49, 11. აჟენი - 38, 12. ბრივი - 37, 13. ლა როშელი - 33, 14. ბურგუნე - 10.

XXIII ტური
პერპინიანი-ტულუზი, ბიონი-მეტრო რასინგი, ბრივი-ლა როშელი, ბურგუნე-მონპელიე, ტულონი-სტად ფრანსე, კლერმონი-ბიარიცი, აჟენი-კასტრი.

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. აქ ლიდერი გურამ კავთიძის „ლიონია“, რომელმაც 25-ე ტურში შინ იოლა და დამარცხა „ნარბონი“ - 45:12. კავთიძე განაცხადში არ იყო. „ლიონს“ 84 ქულა აქვს და ოთხი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „ალბის“.

გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლმა“, რომელსაც 77 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მესამეა, შინ მოუგო „ოჟს“ - 34:6. მენაბდიშვილს არ უთამაშია.

მამუკა მაგრაქველიძისა და ირაკლი მირცხულავას „ტარბი“ შინ დამარცხდა „ოიონაქსთან“ - 15:19. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

II დივიზიონი
XXV ტური
ექსი-მონ დე მარსანი 30:15, კარკასონი-პო 16:22, დაქსი-ბორდო 24:26, ტარბი-ოიონაქსი 15:19, ორიაკი-სენტ ეტიენი 21:18, ალბი-კოლომიე 34:15, ლიონი-ნარბონი 45:12, გრენობლი-ოჟი 34:6

საბურთაველი მდგომარეობა
1. ლიონი - 84 ქულა, 2. ალბი - 80, 3. გრენობლი - 77, 4. ბორდო - 69, 5. მონ დე მარსანი - 65, 6. პო - 62, 7. ოჟი - 60, 8. ოიონაქსი - 59, 9. ტარბი - 59, 10. კარკასონი - 58, 11. ორიაკი - 58, 12. ექსი - 53, 13. ნარბონი - 51, 14. დაქსი - 44, 15. კოლომიე - 43, 16. სენტ ეტიენი - 16.

XXVI ტური
პო-მონ დე მარსანი, ბორდო-კარკასონი, დაქსი-ტარბი, ნარბონი-ორიაკი, ოიონაქსი-გრენობლი, ოჟი-კოლომიე, სენტ ეტიენი-ექსი, ლიონი-ალბი.

პირველი არმია იწყებს და იბრძვის

საშინაო სარაგბო სეზონი შეიქცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპით გაიხსნა. „შეგარდენის“ სასპარეზო ბაზაზე ასპარეზობაში 14 გუნდმა მიიღო მონაწილეობა და თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირი მოულოდნელი შედეგით დასრულდა.

შეიქცა რაგბის ჩემპიონატის პირველი ეტაპი „არმიაში“ მოიგო, რომელიც წლეულს „თსულომების“ ბაზაზე შეიქმნა და რამდენიმე ახალი მორაგბით გაძლიერდა. არმიელებს საკმაოდ ამბიციური მიზნები აქვთ, რისი საფუძვლიანობაც ამ ტურნირის მოგებით დაამტკიცეს.

ფინალში „არმიაში“ ქუთაისის „აიას“ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო - 19:14. მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა და გამარჯვებული დამატებით დროში გამოვლინდა. მოულოდნელად წარუმატებლად ასპარეზა შეიქცა რაგბის შარშანდელმა ჩემპიონმა თბილისის „ყოჩებმა“, რომელმაც საბოლოოდ პირველივე ფოთის „რაინდებთან“ მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილები გაიყო.

მეორე ეტაპი ზაფხულში, ივლისის დასაწყისში გაიმართება.

A ჯგუფი: ყოჩები-ლოკომოტივი 14:22, ბაგრატი-ლოკომოტივი 5:35, ყოჩები-ბაგრატი 17:26.

B ჯგუფი: აია-ლელო 35:5, ხულიგანა-დევები 14:0, აია-დევები 31:0, ხულიგანა-ლელო 5:0, ლელო-დევები 45:7, აია-ხულიგანა 34:12

C ჯგუფი: რაინდები-თბილისი 5:17, ბათუმი XV-თბილისი 28:0, ბათუმი XV-რაინდები 59:0

D ჯგუფი: აკადემია-არმია 0:19, ხარები-არნივები 54:0, აკადემია-არნივები 47:0, ხარები-არმია 7:12, არმია-არნივები 48:0, აკადემია-ხარები 28:7

ფინალი: ლელო-ხარები 5:12

ფინალი: არნივები-დევები 0:10

სონი
ხულიგანა-თბილისი 17:12, ბათუმი XV-ბაგრატი 26:22

ფინალი: ხულიგანა-ბათუმი XV 7:26

თასის გათმობისათვის
ბათუმი XV-აკადემია 10:14, არმია-თბილისი 40:0, ლოკომოტივი-ხულიგანა 24:5, აია-ბაგრატი 26:5

ნახევარფინალი
ლოკომოტივი-არმია 0:14, აკადემია-აია 5:17

ფინალი
არმია-აია 19:14 (დდ)
საბოლოო მდგომარეობა: 1. არმია, 2. აია, 3-4. აკადემია, ლოკომოტივი, 5. ბათუმი XV, 6. ხულიგანა, 7-8. თბილისი, ბაგრატი, 9. ხარები, 10. ლელო, 11-12. ყოჩები, რაინდები, 13. დევები, 14. არნივები.

ზე რაბბი



სონი ბილ ვილიამსი

დაუპარსხეული ერთია - სტორმერი

ზე რაბბის გათამაშების მე-6 ტური „მელბურნ რებლზისა“ და ველინგტონის „ჰარიკენის“ დაპირისპირებით გაიხსნა. **დენი სიპრინი** და კომპანიამ შესანიშნავად ითამაშა და ახალზელანდიური გუნდი 42:25 დაამარცხა. ეს „რებლზის“ მეორე გამარჯვებაა მიმდინარე გათამაშებასა და კლუბის ისტორიაში.

A ჯგუფის ლიდერმა ბრისბენის „რედსმა“ კი ბლუმფონტინის „ჩიტაზს“ უმასპინძლა და იოლა და მოუგო - 41:8. მასპინძლებმა მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს, აქედან ორ-ორი გარემარბმა როდ დევისმა და ცხრა ნომერმა ვილი გენიამ მიითვალეს.

B ჯგუფის ლიდერმა ქრისტინერის „კრუსეიდერმა“ კი თავისი საშინაო მატჩი დურბანის „ნატალ შარქსთან“ ლონდონში „თიქენზე“ გამართა და მეტოქეს 35 ათასი ქომავის თანდასწრებით 44:28 მოუგო. ქრისტინერელებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, აქედან ორი გარემარბ **მონ მეთლენდის** ანგარიშზეა. ყველაზე შედეგიანი კი „კრუსეიდერის“ მგზავი **დენ კარტერი** იყო, რომელმაც გუნდს 24 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ხუთი გარდასახვა და სამი საჯარიმო).

ალსანიშნავია, რომ „კრუსეიდერს“ წლეულს მშობლიურ „ემი სთედლიუმზე“ ასპარეზობა არ მოუწევს, რადგან ის მინისძვრის შედეგად იმდენად სერიოზულადაა დაზიანებული, რომ მსოფლიო თასის შეხვედრებსაც ვეღარ უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ქრისტინერში 18 სექტემბერს საქართველოს ნაკრები ინგლისის ეროვნულ გუნდს უნდა დაჰპირისპირებოდეს. ახლახან გადაწყდა, რომ ეს შეხვედრა დანიდინში გაიმართება.

მანამდე კი, 14 სექტემბერს, „ბორჯღალოსნები“ დანიდინშივე შოტლანდიის ნაკრებს ეთამაშება.

C ჯგუფში კვლავ დაუმარცხებელია კუინთაუნის „სტორმერი“, რომელმაც ამჯერად, შინ გაანადგურა პერთის „ფორსი“ - 51:16. მასპინძლებმა ექვსი ლელო გატანა შეძლეს, აქედან ორ-ორი მუამბო **ჟაკ ფურის** და შერკინების კვაჭ **დარონ ფურის** ანგარიშზეა. შესანიშნავად ითამაშა მგზავმა **პიტერ გრანტმა**, რომელმაც ექვსეულ ლელო გარდასახვა და სამი საჯარიმოც გაიტანა (21 ქულა).

A ჯგუფი
მელბურნ რებლზი-ჰარიკენი 42:25, რედსი-ჩიტაზი 41:8, ბრამბიზი-ფორათაზი 22:29

საბურთაველი მდგომარეობა
1. რედსი - 22 ქულა, 2. ფორათაზი - 18, 3. ბრამბიზი - 12, 4. ფორსი - 11, 5. მელბურნ რებლზი - 11


B ჯგუფი
ჩიფსი-ბლუზი 13:16, კრუსეიდერნი-ნატალ შარქსი 44:28

საბურთაველი მდგომარეობა
1. კრუსეიდერნი - 22 ქულა, 2. ბლუზი - 20, 3. ჰაილენდერნი - 17, 4. ჰარიკენი - 12, 5. ჩიტაზი - 11.

C ჯგუფი
სტორმერნი-ფორსი 51:16, ბლუ ბულზი-ლაიონი 30:23

საბურთაველი მდგომარეობა
1. სტორმერი - 25 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 20, 3. ბლუ ბულზი - 17, 4. ლაიონი - 8, 5. ჩიტაზი - 7


გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგაძემ



გიორგი ჟღენტი (მარცხნიდან მეორე)

სახალისო სპორტი

● მოგზაობა



როჯერ ფედერერი (შუაში)

ფედერერი: დღეს ნოვაკი ყველას სჯობნის

მანამას მასტერსის მსვლელობისას მსოფლიოს მეორე ჩოგანი როჯერ ფედერერი ამერიკულ ჟურნალისტებს გაესაუბრა და აუხსნა, რატომ არის რთული ერთ სეზონში ინდიან უელსისა და მაიამის მოგება, რატომ არ აქცევს ყურადღებას გაუთავებელ მსვლელობას ფედერერის ეპოქის დასრულების შესახებ და რა გავლენა მოახდინა სხვა მოთამაშეების კარიერაზე...

- ცოტა ხნის წინ ანდრე აგასიმ განაცხადა, რომ თქვენ ბევრ ჩოგბურთელს გაუფუჭეთ კარიერა. მაგალითად, როჯერ ფედერერის ეპოქა რომ არა, ენდი როდიკის კარიერა უფრო წარმატებული იქნებოდა. გაქვთ თუ არა კმაყოფილების გრძნობა იმის გამო, რომ ენდის არ მიეცით დიდი ჩემპიონების რიცხვში მოხვედრის საშუალება?

- სულაც არ მიხარია ეს ფაქტი. თუმცა, ჩემი აზრით, მან ისე დამარცხა მე, რომ ერთადერთი ოცნება, რომელიც ვერ ვერ აისრულა - უიმბლდონის მოგებაა, თუმცა იქ ფინალში რამდენჯერმე ითამაშა და დაუვიწყარი მატჩები ჩაატარა. ბევრი ვერ დაიკვირებს ასეთი შედეგებით. რა თქმა უნდა, მას უნდოდა ამ ფინალების მოგება, მაგრამ არ გამოვიდა. სამაგიეროდ, მოიგო აშშ-ის ლია პირველობა, დევისის თასი, იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი...

რამდენად ბევრს უნდა მიაღწიო იმისთვის, რომ ბედნიერი იყო და თავი რეალურად წარმატებულად ჩათვალო? მე მგონი როდიკმა თავად იცის და აფასებს იმას, რასაც მიაღწია. ეს მოთამაშეებმა იცინა და პატივს სცემენ მას. თანაც მისი კარიერა ჯერ დასრულებული არ არის და შეიძლება კიდევ მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

არ მგონია, რომ მის კარიერაზე ცუდი გავლენა იქონიეს. შეიძლება მე რომ არ ვყოფილიყავი, სხვა ჩოგბურთელი გამოჩენილიყო, რომელიც მას ხელს შეუშლიდა. ასეთ საკითხზე ლაპარაკისას ზუსტი აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

- რატომ არის ასე რთული ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსების ზედიზედ მოგება?

- ზედიზედ ორ მასტერსზე გამარჯვება ძალიან რთულია იმის გამო, რომ იქ პირველივე წრეებიდან გინევს ძლიერი ჩოგბურთელების წინააღმდეგ თამაში. ამასთან, ყველამ იცის ჰარდზე თამაში. ეს არ არის ის საფარი, რომელიც ერთ კონკრეტულ სტილს მიესადაგება. მასზე შანსი აქვთ ლათინურამერიკელებსაც, ევროპელებსაც და ამერიკელებსაც. მოკლედ, აქ ყველა კონკურენტუნარიანია, ამიტომაც რთულია ერთ სეზონში ორივე ამერიკული მასტერსის მოგება. მაგრამ თუ კარგ ფორმაში ხარ, როგორც ამჟამად ჯოკოვიჩი, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია. პირადად მე ეს ორჯერ გავაკეთე - 2005 და 2006 წლებში.

- კიმ კლაისტერსმა ამასწინათ განაცხადა, რომ ქალიშვილმა უშველა კარიერის გადარჩენაში, რადგან უფრო მეტი სიამოვნების მიღება დაიწყო

ჩოგბურთისგან და გარდა ამისა, უკეთესად დაგეგმა ცხოვრების მომავალი წლები. თქვენზეც ასეთი გეგმვა მოახდინა შვილის დაბადებამ?

- სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია ცხოვრებისეული პერსპექტივების ასანწყობად ბავშვები თუ იყო საჭირო. ბუნებრივია, მათმა გაჩენამ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე, რადგან ახლა მათზე ვფიქრობ კვირაში შვიდი დღე და დღე-ღამეში 24 საათი. დარწმუნებული უნდა ვიყო იმაში, რომ შემოიღო ისინი სწორ გზაზე დავაყენო, დავეხმარო მეუღლეს მათ აღზრდაში, მხარი დაუჭირო მას და შ. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ბავშვები მჭირდებოდა კარიერის კრიზისული პერიოდების უფრო იოლად გადატანისთვის. ჩემი აზრით, საქმისადმი ყოველთვის სწორი დამოკიდებულება მქონდა, ამასთან ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამაა, რაც ჩოგბურთზე მაღლა დგას.

- უცნაურია თქვენი ხილვა რეიტინგის შესახებ საფეხურზე. ასეთი რამ დიდი ხანია არ მომხდარა. ამას თქვენთვის აქვს რაიმე მნიშვნელობა?

- არა. პირველად მე სასამედიაციო შორის მართლაც არის სხვაობა, მაგრამ მეორე და მესამე ნომრებს შორის განსხვავება პრაქტიკულად არ არსებობს.

- აშკარაა, რომ კვლავაც დიდი შესაძლებლობების ჩოგბურთელი ხართ. ალბათ, გალიზიანებზე ის ადამიანები, რომლებიც დაბეჭდილებით ირწმუნებიან, რომ ფედერერის ეპოქა დასრულდა?

- ეს იმაზე დამოკიდებულია, ვინ და როგორ ამბობს მას. არ ვიცი ასე ხალხის 5 პროცენტი ფიქრობს თუ 95. ბოლოს და ბოლოს, მე დიდად არ მანაღვლებს მსგავსი საუბრები. მიმაჩნია, რომ ძალიან კარგად ვითამაშე ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში. ვგრძნობ, რომ ბრწყინვალე ჩოგბურთის ვაჩვენებ. უბრალოდ ახლა ჯოკოვიჩი სხვებზე უკეთესია - ეს ნორმალურია.

სხვა ჩოგბურთელების კარიერაშიც მინახავს ასეთი წარმატებული პერიოდი. შემოიღო ჩამოვთვალად ნადალი, მიურეი, აგასი, ჰიუიტე, როდიკი და ა. შ. ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაშის ნაწილია. არასოდეს მიფიქრია ან დამეგგმავს ტურში 15-წლიანი დომინირება. ჩავარდნას ვერავინ გადაურჩება და ეს კარგია. მგონია, რომ დღეს ყველა ტოპ-ჩოგბურთელი მაღალ დონეზე თამაშობს - რაფა, მე და მიურეი. კი. მართალია, ენდი ბოლო ტურნირები არც ისე წარმატებით ჩაატარა, მაგრამ მანამდე იყო ავსტრალიის ლიას ფინალი. დარწმუნებული ვარ, წელს ის კიდევ მოახსრებს ფორმის აკრეფას. იგივეს ვიტყვი სოიდერლინგზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. მას შემთხვევით არ მოუგია პარიზი და წელს ორი-სამი ტურნირი. ასე რომ, საუკეთესოებს ყველაფერი ნებისმიერ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცები მათ შესახებ „ტრაგიკულ“ ისტორიებს თხზავენ.

● მოგზაობა

ისევ მზრალი ჯოკოვიჩი

მანამას მასტერსზე მამაკაცებმა 1/16 ფინალში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. გუშინ გამართული რვა მატჩიდან მხოლოდ ორში გახდა საჭირო სამი სეტის ჩატარება. ერთ-ერთი სემი-ფინალი 17 ეისი ჩაუნთა ვიქტორ ტროიციკის, მაგრამ მანაც გამოეთიშა ბრძოლას - 6:7(5), 6:3, 5:7. ასე რომ, მერვედფინალში მაყურებელს სერბული დერბი ელის - ტროიციკი ჯოკოვიჩის წინააღმდეგ. დღის ბოლო მატჩში კიდევ ერთი სერბულ-ამერიკული დაპირისპირება ვიხილეთ. ორგანიზატორებს იმედოვნებდათ, რომ მასპინძელი ჯეიმს ბლეიკი წინააღმდეგობას გაუწევდა სეზონის ლიდერ ნოვაკ ჯოკოვიჩს. მაგრამ ბრძოლა არ ყოფილა. სერბმა მაიაში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო ისე, რომ საათიც არ დაჰყო კორტზე და ერთ-ერთი სეტი „მშრალი“ ანგარიშით დასრულდა. 52-წუთიან „ბრძოლაში“ ნოვაკმა 6:2, 6:0 გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ამერიკელს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ჯოკოვიჩმა წელს ზედიზედ 22-ე შეხვედრა მოიგო და სულ ოთხი მოგება აკლია ივან ლენდლის, პიტ სამპარისა და როჯერ ფედერერის რეკორდის გამოვრებად. აქამდე მხოლოდ ამ ტრიომ შეძლო ზედიზედ ავსტრალიის ლია პირველობის, ინდიან უელსისა და მაიამის ტურნირების მოგება.

დღის ცენტრალური მატჩი ხუან მარტინ დელ პოტროსა და რობინ სოიდერლინგის დაპირისპირება იყო, მაგრამ მაყურებელს აქაც იმედაცარება ელოდა, რადგან ძალიან დიდი იყო ერთი ჩოგბურთელის უპირატესობა. შეეძა პირველი წუთებიდანვე შეცდომების დაშვება დაიწყო და უბრალოდ ვერ აყვა დელ პოტროს ტემპს. არგენტინელი უფრო ძლიერად და ზუსტად აწოდებდა, ხოლო მისი ფორპენდების შემდეგ სოიდერლინგს ისლა რჩებოდა, უსუსურობისგან და გაკვირვებისგან ხელები

გაეშალა. დელ პოტრომ სეზონში მესამედ მოუგო სოიდერლინგს და მინიმუმ ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი მიიღო. მისი შემდეგი მოწინააღმდეგე იქნება მარტი ფიში, რომელსაც არგენტინელმა ერთი თვის წინ დელრეი ბიჩში ასეთივე საფარზე მოუგო. თავად ფიშიმ მატჩის წინ აღიარა, რომ დიდად არ უყვარს მაიამის მასტერსი, რადგან ამ ქალაქთან ცუდი მოგონებები აკავშირებს: ორი წლის წინ იქაურ ლამის კლუბში გატოვების შემდეგ რიშარის ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს, რის გამოც ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

დიდ ინტერესს იწვევდა ამერიკული დერბი ჯონ ისნერსა და ალექს ბოგომოლოვს შორის. ეს ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ ბოგომოლოვმა ორი დღით ადრე თვით ენდი მიურეის მოუგო. ისნერის უპირატესობა ძალიან დიდი იყო - მან 11 ეისი ჩაანთა და ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა მეტოქეს.



ნოვაკ ჯოკოვიჩი

კლაისტერსი-500

ძალაში დაასრულეს 1/16 ფინალის ეტაპი. ერთის გარდა, ყველა მატჩში ბრძოლა იყო. მხოლოდ ფრანგმა მარიონ ბარტოლიმ გაიკვლია იოლად გზა მერვედფინალში, როცა ორი გეიმი დაუთმო რუს ეკატერინა მაკაროვას - 6:0, 6:2.


როლან გაროსის ჩემპიონმა ფრანჩესკა სკიავონემ და ლურდეს დომინიკეს ლინომ საკუთარი ბრეიკ-პოინტების ნახევარი გამოიყენეს, განსხვავება ის იყო, რომ იტალიელს 12 ასეთი შანსი ჰქონდა, ესპანელს - ათი. საბოლოოდ, პირველ პარტიაში ფრანჩესკამ ორჯერ აიღო მეტოქის მონოდება და საქმე ტაი-ბრეიკამდე არ მიიყვანა, სამაგიეროდ, „შემოკლებული გეიმი“ ითამაშეს მეორე სეტში (ამ პარტიაში მეტოქეებმა ოთხ-ოთხი ბრეიკი გააკეთეს), სადაც უფრო ილბიანი სკიავონე იყო.

ანა ივანოვიჩმა პირველი სეტი ნაავო ფრანგ ვირჯინ რაზანოსთან, მაგრამ შემდეგ შეძლო ინციატივის ხელში ჩაგდება და პარტიებს შორის ანგარიშის გათანაბრება, მესამე სეტში კი 3:0 დანინა ურდა, როცა რაზანო უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე.

ასევე მედერის როლში იყო ბელარუსი ვიქტორია აზარენკა სლოვაკ დომინიკა ციბულკოვას წინააღმდეგ. თითქმის ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ მატჩის შედეგი ლოგიკური აღმოჩნდა - ამ ჩოგბურთელების რიგით მეშვიდე შეხვედრაში მეექვსედ მოიგო აზარენკამ.

მნიშვნელოვანი დღე იყო გუშინ ბელგიელი კიმ კლაისტერსისთვის. თუ მსოფლიოს მეორე ჩოგანი შედლებდა ესპანელი მარია ხოსე მარტინეს სანჩესის დამარცხებას, ეს იქნებოდა მის კარიერაში საუბლო - მე-500 გამარჯვება.

შეგახსენებთ, რომ კიმი წინა კვირას ინდიან უელსის სუპერტურნირზე ტრავმის გამო ნაადრევად გამოეთიშა ბრძო-



კიმ კლაისტერსი

დავიდ ფერერმა ორ პარტიაში მოუგო სომდეგ დევიარმანს, მეორე ესპანელმა მარსელ გრანოლერსმა კი გავაკვირვა, როცა ორსაათიანი ბრძოლაში ტურნირის ჩამოაშორა მიკაელ ლორან მესამე ესპანელი ვერ გავადა მერვედფინალში - სამხრეთაფრიკელმა კევინ ანდერსონმა რვა ეისის დახმარებით მოუგო პაბლო ანდუხარს.

ATP
Sony Ericsson Open
მაიაში (აშშ). პარლი
საპრიზო ფონდი: 3 645 000 დოლარი
1/16 ფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 6)-სომდეგ დევიარმანი (ინდ) 6:4, 6:2; მარსელ გრანოლერსი (ესპ)-მიკაელ ლორანი (საფ, 23) 7:5, 3:6, 7:5; მარტი ფიში (აშშ, 14)-რიშარ გასკე (საფ, 17) 6:4, 6:3; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)-რობინ სოიდერლინგი (შვედ, 4) 6:3, 6:2; ჯონ ისნერი (აშშ, 30)-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:2, 7:6(4); კევინ ანდერსონი (ს. აფრ)-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:2, 6:3; ვიქტორ ტროიციკი (სერ, 16)-სემ კუერი (აშშ, 19) 7:6(5), 3:6, 7:5; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:2, 6:0.

WTA
Sony Ericsson Open
მაიაში (აშშ). პარლი
საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი
1/16 ფინალი

კიმ კლაისტერსი (ბელ, 2)-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 27) 6:4, 4:6, 6:3; ვერა ზვონარევა (რუს, 3)-არმილა გრიტი (ავსტრ, 28) 7:6(4), 6:2; ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5)-ლურდეს დომინიკეს ლიკო (ესპ) 6:4, 7:6(2); ვიქტორია აზარენკა (ბელ, 8)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 25) 3:6, 6:3, 6:4; აგნიშკა რადვანსკა (პოლ, 9)-მარია კირილენკო (რუს, 24) 7:6(2), 6:3; ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)-ვეტრა კვიტოვა (ჩეხ, 12) 6:4, 6:7(3), 6:0; მარიონ ბარტოლი (საფ, 15)-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:0, 6:2; ანა ივანოვიჩი (სერ, 19)-ვირჯინ რაზანო (აშშ) 2:6, 6:2, 3:0 უარი.

1/8 ფინალი
გოზნიაცკი (1)-პეტკოვიჩი (2); მედინა გარიგესი-იანკოვიჩი (6); სტოსური (4)-მარიაოვა (13); პენტი-დულგერუ (26); სკიავონე (5)-არადგანსკა (9); ბარტოლი (15)-ზვონარევა (3); აზარენკა (8)-პავლიუჩენკოვა (17); ივანოვიჩი (19)-კლაისტერსი (2).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბაიშვილი

კალათბურთი. NBA. რეკლამური ჩემპიონატი

ჯეიმსი+უეილი+ბოუი=94

„სანანტონიო სპურსს“ ტიმ დანკანის გარეშე ზედიზედ მესამე მატჩი წააგო - ამჯერად „მემფისის“ გრიზლისთან... დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ პლეი ოფის პირველ რაუნდში ეს გუნდები შეხვედებიან ერთმანეთს და თუ დანკანმა იმ დროისთვის გამოჯანმრთელება ვერ მოახსრო, იმ სერიამი ტექსასელეების ფავორიტად გამოცხადდება სულაც არ იქნება მართებული. უფრო მეტიც, „სპურსის“ ლაზარეთში ტიმს მანუ ჯინობილიც შეუერთდა, რომელმაც სწორედ გუმბინდელ მატჩში მიიღო ტრავმა.

პირველ ტაიმში „სანანტონიო“ სტაბილურად ინარჩუნებდა 5-6-ქულიან უპირატესობას, სანამ ჯინობილი მარკ გასოლს არ შეეჯახა და არ დაზიანდა. არგენტინელი მოედანზე იწვა, როცა მასპინძლები სწრაფ შეტევაში გაიტყვნენ და მშვიდად მოიპოვეს მორიგი ორი ქულა. ამ ეპიზოდმა ისე გააბრაზა გრეგ პოპოვიჩი, რომ მსაჯებს უღრიალა და ორი ტექნიკური პერსონალურის გამო მოუჭინდინა მიაბრძანეს.

ერთ-ერთი ლიდერის გარეშე დარჩენილი „სანანტონიო“ არ დაიბნა და უფრო აგრესიულად ათამაშდა. ჯინობილის შემცვლელმა პილმა ჯამში 30 ქულა ჩაავლო. ასეთი მონდომების წყალობით სტუმრებმა საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 44 წამით ადრე ორქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 97:95.

და მაინც, მატჩის ბოლო წუთები „მემფისისა“ იყო. „დათვებმა“ დაცვა გააძლიერეს - ჯერ შეტევისთვის განკუთვნილი 24 წამში ბურთი არ ასროლინეს მეტოქეს, შემდეგ კონლიმ პარკერს დაუფარა... შეტევაში კი პირველ როლებზე აღმოჩნდნენ ტონი ალენი, ზაკ რენდოლფი და უმცროსი გასოლი. პირველმა გარღვევით ანგარიში გაათანაბრა - 97:97, მეორემ საშუალო მანძილიდან ორჯერ ჩააგდო, ესპანელმა კი 36 წამით ადრე ოთხ ქულამდე გაზარდა ანგარიში - 105:101. „სპურსს“ ჰქონდა გადარჩენის შანსი, მაგრამ შემდეგ შეტევაში მკაფაუსმა ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა...

ასევე შეიძლება პლეი ოფის პირველ რაუნდში ვიხილოთ „დეივერსისა“ და „ნიუ ორლეანის“ დაპირისპირება. გუშინ ჩემპიონმა საკუთარ „სტეიპლ ცენტრში“ ულმარა კოდ მოიგო რეპეტიციია. კალიფორნიელები პირველი ორი მეოთხედის შემდეგ 16 ქულით იგებდნენ, მაგრამ მაინც ანერვიულეს საკუთარი გულშემატკივარი - ფილ ჯექსონის შევირდებს გამოუპარათ მეტოქის გაქცევა, რის შემდეგაც ბოლო მეოთხედის სტარტზე სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა.

მაგრამ მოედანზე დაბრუნდა „დეივერსის“ სასტარტო ზუთეული და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ბონუმმა მარტომდარტომ მოაწყო ხამ გაქცევა, ხოლო გამარჯვებულის საკიბი დღის წესრიგიდან სტოვ ბლეკმა მოხსნა, რომლის სამქულიანის შემდეგ ანგარიში 90:76 გახდა. „დეივერსმა“ ბოლო 16 მატჩში მე-15 გამარჯვებას მიაღწია.

გუშინ ყველაზე სანახაობრივი მატჩი „მაიაშიმ“ და „ჰიუსტონმა“ გამართეს. კურიოზული იყო შეხვედრის საბოლოო შედეგი. საქმე ისაა, რომ „ჰიტმა“ ზუსტად ისეთივე ანგარიშით მოიგო, რო-

გორც სეზონის პირველ შეხვედრაში - 125:119. მაგრამ მთავარი იყო ფლორიდა დელტა „დიდი ტრიოს“ გამოსვლა. ლებრონ ჯეიმსმა, დუეინ უეიდმა და კრის ბოშმა ერთად 94 ქულა, 33 მოხსნა და 15 შედეგიანი პასი დააგროვეს, ამასთან, 30-ქულიან და 10-მოხსნიან ზღვარს სამივე მათგანმა გადააჭარბა. ეს მეორე შემთხვევაა NBA-ის ისტორიაში, როცა ერთი გუნდის სამმა მოთამაშემ ასეთი ნაყოფიერი მატჩი ჩაატარა. წინა შემთხვევა 1961 წლის (!) 3 თებერვლით თარიღდება, როცა „ცინცინატი როიალზის“ ნეერებმა - ოსკარ რობერტსონმა, უეინ ემბრიმ და ჯექ ტვიმანმა გამოიჩინეს თავი. უფრო მეტიც, უკვე ზედიზედ მეორე შეხვედრა ჯეიმსი, უეიდი და ბოში „20 ქულა+10 მოხსნის“ მაჩვენებელს აფიქსირებენ - ესეც მეორე შემთხვევაა ისტორიაში. პირველები სიდნი უიქსი, ლილი ნილი და ჯონ ჯონსონი იყვნენ 1975 წელს. საინტერესოა, რომ ბოშიმ ამ სეზონში მხოლოდ მესამედ დააგროვა 30 ან მეტი ქულა, არადა, წინა ორ სეზონში ასეთი რამ შესაბამისად 15-ჯერ და 17-ჯერ მოახერხა.

„ბოსტონს“ უკვე ორი კვირაა უჭირს და მინეაპოლისში ორმატჩიანი ნაგებათა სერიით ჩავიდა. „სელტიქსს“ ამ სეზონში არასოდეს წაუვარა ზედიზედ სამი შეხვედრა და ახლაც აიცილა თავიდან ეს უსიამოვნო სერია. არადა, სტუმრებს თითის ტრავმის გამო რაფონ რონდოს გარეშე უწევდათ თამაში, თავის მხრივ, „მინესოტას“ შემადგენლობაში ზედიზედ მესამე მატჩს ტოვებდა კევინ ლაივი.

ასეთ პირობებში პირველი ტაიმი „კელტიქსის“ აბსოლუტური უპირატესობით წარმართა და ერთი პირობა მათმა უპირატესობამ 25 ქულას მიაღწია. თითქოს თამაში აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დოკ რივერსის შევირდები ნაადრევად მოდუნდნენ და ფაქტობრივად თამაში შეწყვიტეს. სტუმრების ასეთმა დამოკიდებულებამ ჰანდიკაპი ნულამდე დაიყვანა, ხოლო მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე 8 წუთით ადრე დარკო მილიჩიჩმა წინ გაიყვანა „მგლები“ - 70:68! სტუმრების გადარჩენა საკუთარ თავზე აიღეს გამოცდილმა პოლ პირსმა და კევინ გარნეტმა, რომლებმაც ბოლო წუთებზე ორ-ორი ურთულესი ბურთი ჩააგდეს. „ბოსტონმა“ მოიგო, მაგრამ ამ გუნდის ბოლოდროინდელი სათამაშო ფორმა დიდ ეჭვს იწვევს.



დიდი ტრიო

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Miami Heat (111:114) and Los Angeles Lakers (83:99).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Phoenix Suns (111:104) and Memphis Grizzlies (111:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Dallas Mavericks (125:119) and New York Knicks (82:85).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Philadelphia 76ers (99:90) and Chicago Bulls (114:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Boston Celtics (114:104) and Cleveland Cavaliers (102:84).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Detroit Pistons (83:91) and Sacramento Kings (102:84).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Minnesota Timberwolves (83:91) and San Antonio Spurs (114:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Oklahoma City Thunder (102:84) and Memphis Grizzlies (111:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for New York Knicks (82:85) and Chicago Bulls (114:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Detroit Pistons (83:91) and Sacramento Kings (102:84).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Minnesota Timberwolves (83:91) and San Antonio Spurs (114:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for New York Knicks (82:85) and Chicago Bulls (114:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Detroit Pistons (83:91) and Sacramento Kings (102:84).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Minnesota Timberwolves (83:91) and San Antonio Spurs (114:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for New York Knicks (82:85) and Chicago Bulls (114:104).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Detroit Pistons (83:91) and Sacramento Kings (102:84).

Table with 2 columns: Team/Player, Points. Includes entries for Minnesota Timberwolves (83:91) and San Antonio Spurs (114:104).

სხალი საზოგადოება

Table with 2 columns: Event, Score. Includes entries for Under 21, Under 20, Under 19, Under 17, and ATP Miami.

TV პროგრამა

Table with 2 columns: Time, Program Name. Lists various TV programs including NHL, NBA, and Eurosport events.

ბიზნესი

Table with 2 columns: Event, Score. Includes entries for Under 21, Under 20, Under 19, Under 17, and ATP Miami.

ახსებები

კალათბურთი

შაქს აპრილში ველოლეებით... „პოსტონ სელტიქსის“ მთავარმა მწვრთნელმა დოკ რივერმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში არ უნდა ველოდოთ ვეტერანი ცენტრის - შაკილ ო'ნილის მოედანზე დაბრუნებას.

პოეზია

კროსი გუნდთან პარკიონოს

„პიტსპურგ პინგვინზის“ კაპიტანი სიდნი კროსი, რომელიც ტვინის შერყევის შემდეგ აღდგენით კურსს გადის, მეორედ გამოჩნდა ყინულზე. ამჯერად NHL-ის სუპერვარსკვლავმა თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშა. თუმცა „პინგვინების“ მთავარი მწვრთნელი დენ ბილსმა აღნიშნავს, რომ ზუსტად ვერ დაასახელებს რეგულარულ ჩემპიონატში ან პლეი ოფში კროსის დაბრუნების თარიღს.

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შაკილს შეუძლია ითამაშოს უახლოეს ვასკლით ტურნეში, მაგრამ ვფიქრობ, ეს არ მოხდება... მოჰყავს ESPN-ს რივერსის სიტყვები. - მისი დაბრუნების შესახებ არაერთი ვერსია მოვისმინე, მაგრამ ეს ოპტიმისტური განცხადებები იყო. შესანიშნავად ვიცი, რომ ვერ ითამაშებ, როცა წინა დღეს ფეხიდან დამცავ საბეჭებს მოგხსნიან. ო'ნილი გუნდის შინ დაბრუნების შემდეგ შემოგვიერთდება. სავარაუდოდ, ეს „ფილადელფიასთან“ მატჩში მოხდება.“



ფორმულა 1



სებასტიან ფეტელი

ფეხბურთი: ბრადისია დაპარლავით

2011 წლის სეზონი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის სებასტიან ფეტელის გამარჯვებით დაიწყო. „რედ ბულის“ გერმანელი პილოტი გვიზიარებს ავსტრალიის გრან-პრისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს...

სებასტიან, ისე ჩანს, რომ შეყვარებული ხართ თქვენს მანქანაზე, რომელსაც „მაცდური კაილი“ უწოდებთ?

ძალიან შეყვარებული ვარ და კარგია, რომ ჩვენი ურთიერთობა ასე პოზიტიურად დაიწყო. ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა - კარგი სტარტი გამომივიდა, შევძელი საჭირო უპირატესობის შექმნა. პირველი პიტსტოპის შემდეგ ოდნავ წავაგეთ, მაგრამ მე გადავწყვიტე ეს პრობლემა და გამარჯვებას მივალწიე. მომეჩვენა, რომ მეორე გაჩერების შემდეგ „მაკლარენის“ მხრიდან ზენოლამ იკლო. ვაკონტროლებდით რბოლის მსვლელობას და შედეგად „კაილი“ პირველი მივიდა ფინიშთან.

თითქმის მთელი რბოლა მარტო იარეთ. მოსაწყენი არ იყო?

იცი, ეს სასიამოვნო მოწყენაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოდიუმის ზედა საფეხურზე ადისხარ და შამპანურს სვამ. მარტოობაში ლიდერობისას არაფრის შეცვლა არ შეგიძლია - კონცენტრირებული უნდა იყო დისტანციაზე და აკონტროლო საბურავების მდგომარეობა. ასეთ სიტუაციაში კონკურენტებისგან პრესინგი არ არსებობს, თუმცა მელბურნში ყოველთვის შესაძლებელია სიურპრიზები.

რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჯენსონ ბატონის გასწვრივ, როცა პირველი პიტსტოპის შემდეგ ბრიტანელის უკან აღმოჩნდი?

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ასე თუ მოვახერხებდი ჰემილტონთან ჰანდიკაპის გაზრდას.

როგორ ვითარდებოდა თქვენთვის რბოლა?

უკვე გითხარით, რომ კარგი სტარტი ავიღე და სარკეში დავინახე, რომ ლუისი და მარკი პირველ მოსახვევში ებრძოდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ შევძელი კონკურენტის სოლიდური სხვაობით უკან ჩამოტოვება და ამ უპირატესობას ბოლომდე ვაკონტროლებდი. ჩვენ ადრე შევესრულეთ პიტსტოპი და ჯენსონის უკან აღმოვჩნდი. მისი გასწვრივა გადავწყვიტე და ეს რთული არ ყოფილა, რადგან ახლა და გაცვეთილ საბურავებს შორის სიჩქარეში სხვაობა საკმაოდ დიდია.

რბოლის მეორე ნაწილში მშვიდად ჩაიარა და მე რბოლა მოვიგე. კარგია, რომ ამ უქმეებზე დაეარღვიეთ ავსტრალიაში წარუმატებელი გამოსვლის ტრადიცია. ახლა ამ ტრასაზე მეოთხე ადგილი აღარ მიიჩნევა „რედ ბულის“ საუკეთესო შედეგად.

გასაკვირი იყო თუ არა ჰემილტონზე ასეთი უპირატესობა?

ვფიქრობ, რთულია დასკვნების გაკეთება, რადგან ჯერ არც ერთს არ გვიჩვენებია სრულად ჩვენი პოტენციალი.

ლუისის მანქანაზე არის KERS-ის სისტემა, თქვენზე - არა...

ჩვენც გვაქვს KERS, მაგრამ ავსტრალიაში ეს სისტემა არ გამოვიყენეთ. მას მაღალიზისთვის ვამზადებთ.

რამდენად რთულია საბურავის მდგომარეობის გაკონტროლება?

ეს დამოკიდებულია კონკურენტების მხრიდან პრესინგზე. კომფორტული უპირატესობის პირობებში შესაძლებელია ტემპის დაგდება, რითაც უფრო დიდხანს შეინარჩუნებ საბურავებს.

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ეროვნული ზეპირი

ლოებს უჭირს

რომორც ჩანს, წელს რალის მსოფლიოს ჩემპიონატზე საინტერესო ბრძოლის მოწმენი გავხდებით. სეზონის დაწყებიდან უკვე სამი ეტაპი გავიდა და ჯერჯერობით არ შეინიშნება მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის სებასტიან ლოების დომინირება. ლეგენდარულ ფრანგს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ კონკურენტები.

შეგახსენებთ, 2011 წლის პირველი რბოლა შედეგით ლოებმა ჩააგდო, არ ეკუთვნოდა გამარჯვება მექსიკაში მეორე ეტაპზე, სადაც პირველობა თითქმის გარანტირებული ჰქონდა მის ახალგაზრდა თანამემამულეს სებასტიან ოჯიეს, მაგრამ უხეში შეცდომის გამო ვერ მიაღწია ფინიშს და მოგება ლოებს აჩუქა. და აი, ახლა ოჯიემ უშეცდომოდ იარა პორტუგალიის ლორდინ გზებზე და კარიერაში მესამე, პორტუგალიაში კი ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია.

დისტანციის პირველ ნაწილში ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო. ლიდერთა ოთხეულის წევრები - „სიტროენისა“ და „ფორდის“ წარმომადგენლები - მორიგებით იგებდნენ სპეცმონაკვეთებს და მათ შორის სხვაობა ძალიან მცირე იყო. მაგრამ შემდეგ მიკო პირვონენს საბურავი დაუზიანდა და სიჩქარის დაგდება მოუწია. მისი მანქანიდან მტვერმა კი ლოებს შეუშალა ხელი. ორივემ ბევრი დრო დაკარგა. ამის შემდეგ კი „ფორდის“ წევრებს მთელი რიგი ტექნიკური პრობლემები შეექმნათ და ოჯიეს, უბრალოდ, კონკურენტი აღარ დარჩა.

ლოებმა საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა და ბონუსური ქულების წყალობით საერთო ჩათვლაში

პირვონენს გაუთანაბრდა. ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა კიმი რაიკონენმა მორიგი რბოლაში დაჯერებულად წარმართა და მხოლოდ დასკვნით სპეცმონაკვეთზე დაუთმო მეექვსე ადგილი მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონ პეტერ სოლბერგს.

სეზონის მეოთხე რბოლა 14-16 აპრილს იორდანიაში უნდა გაიმართოს, მაგრამ მეზობელ სირიაში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გამო ეს ეტაპი, შესაძლოა, ორგანიზატორებმა გააუქმონ.

III ეტაპი. პორტუგალიის რალი

- სებასტიან ოჯიე (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 4:10.53,4;
- სებასტიან ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 3:31,8;
- იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 3:22,1;
- მიკო პირვონენი (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 6:16,3;
- მეტუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდი“) - 7:48,5;
- პეტრ სოლბერგი (ნორვეგია, „სიტროენი“) - 10:17,4;
- კიმი რაიკონენი (ფინეთი, „სიტროენი“) - 10:54,1;
- ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, „ფორდი“) - 11:38,8...

საერთო ჩათვლა

- მიკო პირვონენი (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 58 ქულა;
- სებასტიან ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 58;
- იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 48;
- სებასტიან ოჯიე (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 41;
- პეტრ სოლბერგი (ნორვეგია, „სიტროენი“) - 31;
- მადს ოსტბერგი (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - 28;
- მეტუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდი“) - 12;
- პენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდი“) - 10;
- კიმი რაიკონენი (ფინეთი, „სიტროენი“) - 10;
- პერ-გუნარ ანდერსონი (შვედეთი, „ფორდ ფიესტა“) - 6...



სებასტიან ოჯიე

რალიო ვალიბრა და ლუდი ჰაინაჰანი წარმოგიდგინთ საფეხბურთო ვიქტორინას

გადასვამ „შუადლა“

გაასით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი და გოიგათ 1 ჰაჰკრა ლუდი ჰაინაჰანი და უანნი გააგზავრო უფას ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

ყოველ შაბათს 12 სთ-დან - 16-მდე.

FM 103.9 რალიო ვალიბრა

რალიო ვალიბრის ქთარში

www.palitravt.ge

PALITRA TV-RADIO

ნიკო უილბლოუს უახლოვდება

წელს გერმანიის გრან-პრი ნიკო როსბერგისთვის მესამე რბოლა იქნება ფორმულა 1-ში. თუ იმ მომენტისთვის „მერსედესის“ პილოტი ვერ შეძლებს სადებიუტო გამარჯვების მოპოვებას, მაშინ შეავსებს იმ პილოტების სიას, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდხანს, მაგრამ წარუმატებლად გამოდიოდნენ.

აქამდე 13-მა პილოტმა გადააბიჯა 100-ეტაპიან ზღვარს ისე, რომ ერთ გამარჯვებასაც ვერ მიაღწია. და ამ ჯგუფიდან მხოლოდ სამმა - მარკ უებერმა, ჯენსონ ბატონმა და რუბენს ბარიკელომ შეძლო მოგვიანებით ნაგის გატეხვა და რბოლის მოგება.

დანარჩენმა ათმა კი მაინც ვერ შეძლო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. ყველაზე მეტად არ გაუმართლა ნიკო უილბლოუს, რომელიც რვაჯერ იყო მეორე ადგილზე, თუმცა გერმანელს კიდეც აქვს ფორმულა 1-ის ეტაპის მოგების თეორიული შანსი. ის დღეს „ლოტუს-რენოს“ პილოტია. იმავე ითქმის ნიკო როსბერგზეც, რომლისთვისაც კარიერაში საუკეთესო შედეგია 2008 წელს სინგაპურის გრან-პრის დაკავებული მეორე ადგილი.

გვირდი მოამზადა
გია თვალაპიპილია



ნიკო როსბერგი	სტარტი	წლები	საუკ. ვაჭები
ანდრეა დე ჩეზარისი	208	1980-1994	2 ალბილი (2-ჯერ)
ნიკი პიტილონი	173	2000-2010	2 ალბილი (8-ჯერ)
მარტინ ზანდლერი	158	1984-1996	2 ალბილი (2-ჯერ)
დომინიკი სტონი	146	1981-1993	2 ალბილი (2-ჯერ)
ჟან-პიერ ჟანი	134	1971-1983	3 ალბილი (3-ჯერ)
მელი რიხტი	132	1978-1989	2 ალბილი (2-ჯერ)
პიერ-ლუიჯი ბარტინი	119	1984-1995	4 ალბილი (2-ჯერ)
ფილიპო ბალი	109	1984-1994	5 ალბილი (ერთხელ)
მიკა სალო	109	1994-2002	2 ალბილი (ერთხელ)
მინი შერსტაპინი	106	1994-2003	3 ალბილი (2-ჯერ)